

ახალი პენათლევა

14-20.02.2019

№4 (838) გათვალისწინებული 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

საგამოსდომო მოდელის კომპლექსური შეფასება – რამდენად მიაღწია დასახულ მიზნებს და რა კონკრეტული გამონვევების წინაშე დგას ამჟამად სისტემა



გვერდი 2

„მასწავლებლის რეპულირების წესის“ ამოქმედება

✓ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლები, რომლებსაც დადასტურებული აქვთ საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციები, სისტემაში დასაქმდნენ, ვინც პროფესიულ განვითარებაში ახიან ჩართულები, სასწავლო წლის დასრულებამდე შეძლონ საჭირო კუროსების დაგროვება წინსვლისთვის. ყველაწინა მიღწევები ულიადათ და იმავე გზით შეძლებენ სტატუსის ცვლილებას, ხადგან ეს მნიშვნელოვანია სისტემის თანმიმდევრული განვითარებისთვის.



✓ პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის, სასწავლო წლის ბოლომდე, ახადეხი იცვლება. ისინი, ვინც სქემით განსაზღვრული აქტივობებით შეძლებენ 19 კუროსების დაგროვებას, სასწავლო წლის ბოლომდე, შეიცვლიან სტატუსს.

✓ უფროს მასწავლებლებიც, სასწავლო წლის ბოლომდე, განახორციელებენ ყველა სავალდებულო თუ დამატებით აქტივობას, რომელიც სასკოლო ბაზაზე ხორციელდება. მაგამ ისინი, ვისაც დასრულებული ექნება მხოლოდ გახე დაჯიხვების კომპონენტი, სექემბერში შეძლებენ დახეგისტიხებას და წლის ბოლომდე გახე დაჯიხვების გავლას.

✓ პედაგოგებს, სტატუსის შენახუნებისთვის, კუროსების დაგროვება აღახ მოეთხოვებათ, ხადგან ეს სისტემა გაუქმდა. შენაბამისად, ექნებათ მხოლოდ ვადებულებები, რომლის დადასტურებაც სკოლის წინაშე მოუწევთ. ვადებულებები მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტს ეფუძნება.

მანანა ხახინი

სკოლა

რეკომენდაციები ფიზიკური აღზრდის სწავლების გასაუმჯობესებლად

გვერდი 4

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან ორგანიზაციები ვალდებული არიან, დოკუმენტაცია (ამ შემთხვევაში, განათების ხელმომწერის ხელშეკრულებაზე) შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმომწერა ან/და ეს დოკუმენტები (ხელშეკრულებაზე) დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამით.

აქედან გამომდინარე, „ახალი განათლების“ რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, ჩვენ მიერ მოწოდებული მატერიალური ხელშეკრულებაზე, 20 თებერვლამდე, გადმოგვიგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე

axaliganatleba1@gmail.com

გადმოგზავნილ ხელშეკრულებას დაგიმომწერთ ელექტრონული ხელმომწერით და უკან დაგიბრუნებთ. ეს პროცედურა საშუალებას მოგცემთ, ხელშეკრულებაზე უპრობლემოდ ატვირთოთ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. გთხოვთ, დაცვათ მითითებული ვადა.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

593 300 264, 599 88 00 73

გადლობთ
თანამშრომლობისთვის!

გამოსდომი და უმალესი განათლება საქართველოში

უცხოეთთან მოსწავლეთა გაცვლის პროგრამებმა ძალიან ქვეს სასწავლებელი შემთხვევა გვიჩვენა. ქართველი ახადგახხდა შენსწამო, თუ ხოგოთ ავსებდა მისი ამეხიკელი თანატოლი უმალესში მისაღობი გამოცდის ტესტს ინტეხნეხით. ქათველმა გამოცება ვეხ დამადა: ეს ხა გამოცედა, შენ ხომ შეგიძლია, რომ მცოდნე ნაცნობი დაისვა გვეხით და მისი კახნახით შეავსო ტესტიო. ამ ნათქვამმა კი ამეხიკელი გააოცა – შეუხაცხეოდას ხაკომ მაყენებ, თაღლითს ხა მიგავსო; თანაც სხვის მიეხ ტესტის შევსება იგივეა, სამედიცინო ანალიზისთვის შენი სისხლის ნაცვად ჯანმთეღი მეგობრის სისხლი რომ ჩააბახომო; ტესტებით მე ვხვდები, რომელი უნივერსიტეტის რომელი ფაკულტეტი ჩემთვის შესადეხისი და ვახ თუ ახა მზად ამა თუ იმ სპეციღობისთვის და თუკი ახ ვახ მზად, მაშინ 4 წლისა და თანხების ფუქად დაჯახვა ხომ სისულელო...



უკახა ვახანი

კვლევა

საგაგროსდრო მოდელის კომპლექსური შეფასება – სუსტი და ძლიერი მხარეები

ლალი ჯვალაძე

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დაკვეთით ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის შეფასება იყო. მიუხედავად იმისა, რომ არსებული საგამოცდო მოდელის ამა თუ იმ ასპექტის შესახებ ცალკეული კვლევები ადრეც ჩატარებულა, აქამდე კომპლექსურად არ შეფასებულა, რამდენად მიაღწია ამ მოდელმა დასახულ მიზნებს და რა კონკრეტული გამოწვევების წინაშე დგას ამჟამად სისტემა.

კვლევის შედეგები ერთ-ერთი ნაწილია, რომელზე დაყრდნობითაც დაიგეგმა გამოცდების რეფორმა – გაუქმდა გამოსაშვები გამოცდები, სავალდებულო საგამოცდო საგანთა ნუსხიდან კი ზოგადი უნარების გამოცდა მოიხსნა.

კვლევის ანგარიშის წარდგენა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრში, 11 თებერვალს გაიმართა. ცენტრის ხელმძღვანელმა, **სოფო გორგოძემ**, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ისაუბრა იმაზე, თუ რამდენად მიაღწია არსებულმა საგამოცდო მოდელმა დასახულ მიზნებს.

„ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველი მიზანი, უნივერსიტეტებში სტუდენტების მიღების პროცესში, კორუფციის აღმოფხვრა იყო. არაერთხელ დადასტურდა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი კვლევებით და შეფასებებით, რომ ეს მიზანი მიღწეულია, ანუ 15 წლის წინ არსებული დიდი გამოწვევა დაძლეულია. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ დღეს შეცვლილია ვარემოებები და კორუფციის ასეთი საფრთხეები, ზოგადადაც, აღარ არსებობს, ვარემო შეცვლილია უნივერსიტეტებშიც.“ – ამბობს სოფო გორგოძე.

ეგ-ს შემოღების მეორე უმთავრეს მიზნად ცენტრის ხელმძღვანელმა მერიტოკრატიული შერჩევა – საუკეთესო სტუდენტების შერჩევა – დაასახელა, თუმცა, აღნიშნა, რომ: „აქვე ჩნდება კითხვა ვინ არის საუკეთესო, ის, ვინც კონკრეტულ გამოცდას კარგად აბარებს? ამ შეკითხვას პასუხს სცემს პრედიქტული ვალიდობის კვლევა. თუმცა, ვიდრე კვლევის შედეგებს ვაგაცნობთ, ერთ-ერთ მიზნსაც ვახსენებ, რომელიც ზოგადი უნარების ტესტს ეხება. ამ ტესტის მიზანია უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური წარმატების პროგნოზირება (ეს ჩვენი ცენტრის ერთ-ერთ ანგარიშში ამოუკითხეთ), მაგრამ ცენტრის მიერ 2008 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემები, რომელიც 2006-2007 წლის მონაცემებს დაეყრდნო, აჩვენებს, რომ სინამდვილეში ზოგადი უნარების ტესტი, სხვა საგნის ტესტებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად პროგნოზირებს სტუდენტის აკადემიურ წარმატებას.“

რადგანაც ეგ-ს უმთავრესი ფუნქცია უნივერსიტეტებისათვის სტუდენტების შერჩევაა, ბუნებრივია, საინტერესოა, რამდენად შეესაბამება ეგ-ში მიღებული შედეგები სტუდენტთა შემდგომ აკადემიურ წარმატებებს (პრედიქტული ვალიდობა).

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ილიას უნივერსიტეტის ოთხი სხვადასხვა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე – მეცნიერებები და ხელოვნება, სამართალი, ბიზნესი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო – 2015, 2016 და 2017 წლებში ჩარიცხული სტუდენტების მისაღებ გამოცდებზე მიღებული ქულები და მათი საშუალო აკადემიური მოსწრება უნივერსიტეტში სწავლის პირველი სემესტრის განმავლობაში.

კორელაცია ეგ-ზე მიღებულ ქულებსა და პირველი სემესტრის აბაღემიურ მოსწრებას შორის.

ფაკულტეტი	ზოგადი უნარ-ჩვევები	ქართული ენა და ლიტერატურა	უცხოური ენა	N
	მეცნიერებები და ხელოვნება	0.16	0.34	0.2
ბიზნესი	0.22	0.38	0.28	3302
სამართალი	0.26	0.41	0.26	1132
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და საინჟინრო	0.23	0.40	0.30	742

როგორც ვხედავთ, ორი ტენდენცია გამოიკვეთა: ყველაზე დაბალი პრედიქტული ვალიდობა ზოგადი უნარების ტესტს აქვს, შემდგომ – უცხოურ ენას და ყველაზე მაღალი – ქართულ ენას; ასევე, ყველა ტესტს ყველაზე დაბალი პრედიქტული ვალიდობა აქვს მეცნიერებებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და ყველაზე მაღალი – საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო და სამართლის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. „ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავაკენთ, რომ ილიას უნივერსიტეტში, სამი წლის განმავლობაში, ბაკალავრიატში ჩარიცხული სტუდენტებისათვის მისაღებ გამოცდების ქართული ენის ტესტი ყველაზე უკეთ განსაზღვრავს იმას, თუ როგორი აკადემიური მოსწრება ექნებათ მათ. 2015, 2016 და 2017 წლებისთვის, ცალ-ცალკე რომ გამოვთვალოთ კორელაციის კოეფიციენტები, იგივე ტენდენციები ნარჩუნდება. თუმცა ქართულ ენაში შედეგები ყველაზე კონსისტენტურია. ეს შედეგები მეტ-ნაკლებად შეესაბამება საერთაშორისო კვლევების შედეგებს, ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტს კი, სხვა კვლევებთან შედარებითაც კი, მაღალი პრედიქტული ვალიდობა აქვს.“ – ვკითხულობთ კვლევაში.

ეს შედეგები შესაბამისობაშია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2008 წელს ჩატარებულ პრედიქტული ვალიდობის

კვლევასთან, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა, 2006-2007 წლებში, სხვადასხვა უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტთა მონაცემები. ანალიზმა აჩვენა, რომ ეგ-ზე, სავალდებულო საგნებში, ყველაზე მაღალი პრედიქტული ვალიდობა ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტს აქვს, ყველაზე დაბალი კი – ზოგადი უნარებს: სტუდენტთა პირველი და მეორე სემესტრის აკადემიურ მოსწრებასთან ქართულის ტესტის შედეგების კორელაციის კოეფიციენტი, თითქმის, სამჯერ აღემატება ზოგადი უნარების შედეგების მაჩვენებელს; უცხო ენებისა კი – დაახლოებით ორჯერ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა განცხადებით, 2010 წელს, სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის შეცვლა – მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდის შედეგის ნაცვლად, ოთხი გამოცდის შედეგის საფუძველზე გაცემა – ნაწილობრივ, სწორედ ზოგადი უნარების ტესტის დაბალი პრედიქტული ვალიდობით იყო განპირობებული.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ როგორც სტუდენტების, ასევე უნივერსიტეტების წარმომადგენლების ალქამში ეგ-ზე მიღებული ქულები, თითქმის, არანაირ კავშირში არ არის უნივერსიტეტში სწავლის დროს აკადემიურ მოსწრებასთან. უფრო მეტიც, ბევრი ფიქრობს, რომ თუკი აბიტურიენტი მაღალ ქულას და, შესაბამისად, გრანტს იღებს, შემდგომ კარგად სწავლის მოტივაციას კარგავს. უნივერსიტეტების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ იმ სტუდენტებსაც კი, რომლებსაც ასპროცენტიანი გრანტი აქვთ (შესაბამისად, ვისაც საუკეთესო ქულები აქვთ მიღებული ეგ-ში), ხშირად უნივერსიტეტში სწავლისთვის საჭირო ელემენტარული უნარ-ჩვევები არ აქვთ, როგორცაა: ნაკითხულის შინაარსის გააზრება და მოკლედ გადმოცემა, მონაცემების მარტივი ანალიზი და ა.შ. მაგალითად, თავისუფალ უნივერსიტეტს, რომელიც ტრადიციულად ყველაზე მეტ მაღალქულიან სტუდენტს იღებს, სასწავლო წლის დასაწყისში, უნჯეს პირველკურსელებისათვის ზოგადი შესავალი კურსის ორგანიზება, რომელშიც ამ უნარ-ჩვევებს განუვითარებენ სტუდენტებს.

კიდევ ერთი მიზანი, რომელსაც ზოგადი უნარების გამოცდამ ვერ მიაღწია, რეპეტიტორების როლის შემცირებაა. კვლევის ანგარიშში ნათქვამია, რომ იმ მეტიორმეტეკლასელებიდან, რომლებიც რეპეტიტორებთან ემზადებიან, 47% სამზე მეტ საგანში ემზადება. მშობლების 74% მიიჩნევს, რომ ზოგადი უნარებში მომზადება საჭიროა.

„ერთ-ერთი არგუმენტი, რომელსაც რეფორმის კრიტიკოსს ხშირად ვისმენთ, არის ის, რომ ზოგადი უნარების გამოცდისთვის მომზადება არავის არ უნდა სჭირდებოდეს, ამიტომ არის ყველაზე დემოკრატიული. მაგრამ კვლევა აჩვენებს, რომ პირიქითაა, ყველაზე ხშირად სწორედ უნარებში ემზადებიან აბიტურიენტები. ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა, რომ უნარებში მომზადებას გაცილებით მეტი მშობელი მიიჩნევს მნიშვნელოვნად. რეპეტიტორთან სიარული გარდაუვალ აუცილებლობად აღიქმება და ყველაზე სავალდებულო ის არის, რომ რეპეტიტორობა სკოლის პარალელურ სისტემად ჩამოყალიბდა, რაც, სამართალი ვაძე, არც სკოლის განვითარებას ეხმარება, არც ბავშვის განვითარებას და უშედეგოა დიდ შედეგს ვერ გვაძლევს“, – ამბობს სოფო გორგოძე.

მელიც ჩაჭრის და სერიოზულად დააზარალებს მოსწავლის მომავალს, ვინაა შემოვიღოთ უფრო დაბალი რისკის გამოცდა, რომელიც ორიენტირებული იქნება მის განვითარებაზე. მაგალითად, გამოცდა მეთავე კლასში, რომელიც გამოავლენს, თუ რა მიმართულებით სჭირდება მოსწავლეს განვითარება და მომავალ კლასს სწორედ ამის მიხედვით დაგეგმავს სკოლა. მსგავსი შეფასებები უფრო ქვედა კლასებშიც ჩამოვა, შეიძლება დაწყებითებშიც. თუმცა, არ გვინდა, მეორე უკიდურესობაში გადავვარდეთ და იმდენი გამოცდა შემოვიღოთ, რომ მოსწავლეებმა თქვან, ის რვა გამოცდა გვერჩიაო. მნიშვნელოვანია, ვნახოთ რა ხდება დაწყებითი საფეხურზე და გავიგოთ იცის თუ არა წერა-კითხვა ბავშვმა შეეძქვეს კლასის ბოლოს. ეს ვილაცამ რეალურად ხომ უნდა შეაფასოს, ამიტომ ვვინდა ამ პროცესს ცენტრალიზებული სახე მივცეთ და თითოეულ სკოლას დაუფლოთ კონკრეტული მოსწავლის მონაცემები, სად აქვს პრობლემა, რომ მხოლოდ ბოლო წლებში არ აღმოაჩინოს მძიმე შედეგები. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს უნდა იყოს განვითარებაზე ორიენტირებული შეფასება.“

კვლევის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა გავლენა იქონია გამოსაშვებმა გამოცდებმა დასწრებაზე, რეპეტიტორობის პრაქტიკაზე, სკოლების ანგარიშვალდებულებასა და მოსწავლეთა ინტერესზე საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ, რაც კატის დანერგვის მთავარ მიზნებს წარმოადგენდა.

- მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის ინიციატორები გამოსაშვებ გამოცდას მოსწავლის სკოლაში დაბრუნების ფუნქციას აკისრებდნენ, უფროს კლასებში მოსწავლეთა დასწრება ისევ დიდ პრობლემად რჩება. ზოგ შემთხვევაში, სკოლა გამოცდებისთვის მომზადების პროცესში ხელისშემშლელ ფაქტორადაც კი აღიქმება;
- პირველ ეტაპზე, გამოსაშვებმა გამოცდებმა სკოლიდან მოსწავლეთა გადინებას შეუწყო ხელი;
- გამოსაშვები გამოცდებისთვის რეპეტიტორებთან მომზადება გაცილებით პრაქტიკაა. თუმცა ეგ-სგან განსხვავებით, გამოსაშვები გამოცდებისთვის მოსწავლეები უფრო ნაკლები ხანგრძლივობით ემზადებიან;
- გამოსაშვები გამოცდების ფორმატს და ტესტური დავალებების შინაარსს განათლების სპეციალისტები ხშირად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ფაქტობრივი მასალის დამახსოვრებაზეა ორიენტირებული;
- მიუხედავად იმისა, რომ სკოლის გამოსაშვები გამოცდები სასერტიფიკატოა, ანუ მიღწევის დონეს ზომავს, მისი შედეგების გამოყენება სისტემის შესაფასებლად და გასაუფმობესებლად, ფაქტობრივად, შეუძლებელია;
- გამოცდების ორგანიზების პროცესში შეიმჩნევა ხარვეზები (გადანერა, კარნახი, დავალებათა ზანკში შეკითხვების შედარებითი სიმცირის გამო ზოგჯერ კითხვები ტესტირებიდან გამოაქვთ მოსწავლეებს).

გამოსაშვები გამოცდების ძლიერ მხარედ სახელდება შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ შემუშავებული და დანერგილი კატის სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ ტესტებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის პრობლემები არსებობს, ეს ტექნიკოლოგია მნიშვნელოვანი მონაშთარია და სასურველია, არ დაიკარგოს, დაიხვეწოს და გამარავალფეროვდეს.“ – წერია კვლევაში.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ირინა აბულაძე** კატის გამოცდებზე ამბობს, რომ არათავსებადი იყო მოსწავლის რეალურ მიღწევებთან, რადგან ხშირად ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებიც კი იჭრებოდნენ. ამან გამოიწვია ის, რომ კარგი მოსწრების მქონე მოსწავლეები მხოლოდ გამოცდაზე იყვნენ ორიენტირებული.

„მთავარია შევავსოთ ეტაპი, სადაც ვიმყოფებით. სისტემამ, რომელიც 2003-2005 წლებში უმწვავეს მდგომარეობაში, სრულიად ჩამოშლილი, დეგრადირებული იყო, აიღო კონკრეტული მიმართულება, დაისახა მიზანი, რომელსაც მიაღწია. უპირველესი ამოცანა იყო სამართლიანობა შესაძლებლობების კუთხით. უნდა ვალიაროთ, რომ ჯერ სამართლიანობასაც ვერ მივადნით ბოლომდე, რადგან ეროვნული უმცირესობების კუთხით თუ განვიხილავთ, საქმე ისე არ არის, როგორც საჭიროა რომ იყოს. ძალიან მცირე ნაბიჯებით წაინა სისტემამ ამ მიმართულებით. მაგრამ უფრო ფართოდ თუ შევხედავთ სურათს, მიღწევები ნამდვილად გვაქვს. ახლა მეორე ეტაპზე ვართ გადასული, როცა სრულ სამართლიანობას უნდა მივადნოთ. ვნახეთ, რომ ჩვენი საერთაშორისო შეფასებები, 2009 წელთან მიმართებაში, გაუმჯობესებულია, კონკრეტულად პიზაში, მაგრამ ვაზრდილია სხვაობა ქალაქსა და სოფელს შორის. ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა. თუ თანასწორობის კუთხით სერიოზული პრობლემები გვექნება, ვერ განვითარდება ვერც განათლების სისტემა და ვერც ეკონომიკა.“

ვამბობთ, რომ კორუფცია დაეძლიეთ და ეს ვითარება უნდა შევინარჩუნოთ. ჯერ კიდევ ბევრი რამაა დასახვენი, მაგრამ მთავარია სკოლაში ხარისხის გაუმჯობესება. ამდენი წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით, პრაქტიკულად, ვერაფერი განვაკეთებთ. პირიქით, უფრო მეტი წნეხის ქვეშ მოვაქციეთ სკოლები.

საერთაშორისო კვლევების შედეგების მიხედვით, მეოთხეულასელებთან საერთაშორისო საშუალოზე მაჩვენებელზე დაბალი შედეგები გვაქვს, მაგრამ არა იმდენად დაბალი, როგორც მერვეკლასელებში, შედეგები კიდევ უფრო უარესდება 15-წლიანებში. პროცესი გაუარესებისკენ მიდის და დაწყებით საფეხურზე, სადაც ყველაზე რთული ტრანზიციის პერიოდი, არა-

კვლევა

ფერს ვაკეთებთ. არ გვაქვს არც პროგრამები, არც შეფასება და არც მხარდაჭერა. უბრალოდ, ამ ბავშვებს ოკეანეში ვისვრივთ – გადაგვყავს მე-7 კლასში და ვეუბნებით, თავს მიხედეთ.

ყურადსაღებია შარშანდელი ერთ-ერთი კვლევა, რომელიც რეპეტიტორობას ეხება. ჩვენს რეგიონში რეპეტიტორობას ყოველთვის სწყალობდნენ, ალბათ, მომავალშიც ასე იქნება. საინტერესოა თვითონ რეპეტიტორობის ტენდენციები – თუ საბჭოთა კავშირის დროს რეპეტიტორობა იმიტომ მძვინვარებდა, რომ კორუფციული სისტემა იყო უმაღლეს სასწავლებლებში, მერე დაინიშნა დაბლა სვლა და ჩამოვიდა საბაზო საფეხურის დასაწყისში. ახლაც არის კორუფციული სისტემა რისკის შემცველი, გარდა ამისა, სერიოზული ეთიკური პრობლემებიც გვაქვს. მასწავლებლები მშობლებს ეუბნებიან, ნაიყვანე, მოამზადე. ეს კვლევაში წერია. მასწავლებლები ამბობენ, ამას ვეუბნები იმ მშობლებს, რომლებსაც ვერძობი და ვუშვებ ჩემს მეგობართან. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მასწავლებლის დატვირთვას და მის ვალდებულებას, მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეუდგინოს, რათა მისი შედარებით სუსტი უნარები გააძლიეროს. ცხადია, ამას არავინ ვაკეთებს, თუ მასწავლებელი მეტი საგაკვეთილო საათებით არ იქნება დაინტერესებული. იცით, რატომ არ უნდათ მეტი საშუალო საათები სტატუსის მქონე მასწავლებლებს? – რაც უფრო მაღალი სტატუსი აქვთ, მომსახურებაც უფრო ძვირადღირებულია. აი, ასეა დევრადირებული, ეთიკური თვალსაზრისით, ამ საკითხსადმი მიდგომა.

ჩვენი მომავალი საქმიანობის გეზი, საფეხურის დონეზე, მოსწავლეთა შეფასებები იქნება. როგორ უზრუნველყოთ, რომ სკოლაში ნიშნები კორუფციულად არ დაინეროს? ახლა ვიცით რა ხდება ან რის მიხედვით ვაფასებთ სკოლას? გეტყვი, რომ საერთოდ არაფერი ვიცით. სკოლების შეფასება ერთი დიდი კითხვის ნიშანია, რომელსაც შეიძლება ეშვებოდეს, თუ ეროვნულ დონეზე ვაკეთებთ შეფასების სისტემას, ისეთს, რითიც ვავზომავთ ამა თუ იმ სკოლის საქმიანობას. ერთმანეთს შევადარებთ სკოლაში დაწერილ ნიშნებსა და ეროვნული შეფასებით მიღებულ შედეგებს. ახლა იმასაც ვერ ვხვდებით, მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგი ვისი დამსახურებაა: სკოლის, რეპეტიტორის თუ მშობლის. შესაბამისად, სკოლამ უნდა იგრძნოს ეს პასუხისმგებლობა. არავის ეგონოს, რომ სკოლების მიშვებას ვაპირებთ, პირიქით, სკოლას ვერ შესაძლებლობა მივცით და მერე მოვთხოვთ. ეს არის სისტემის დალაგების მცდელობა. – განაცხადა ირინა აბულაძემ, თუმცა არ უსაუბრია კონკრეტულად რა მეთოდით განხორციელდება სკოლის მონიტორინგი. მისივე თქმით, ჯერჯერობით, არც შეფასების სისტემა მოფიქრებულია. მინისტრის მოადგილე მიიჩნევს, რომ ცალკე კვლევა უნდა ჩატარდეს ეროვნული უმცირესობების ნაწილში, იმიტომ, რომ იქ საერთოდ სხვა რეალობაა, სხვა ეროვნული სასწავლო გეგმა იხერხება, არ აქვთ სახელმძღვანელოები. კატის შედეგების მიხედვით თუ ნახავთ, ჩაჭრილი მოსწავლეების უმეტესობა სწორედ ეროვნული უმცირესობების სკოლების მოსწავლეები არიან

(25%-დან 20% ეროვნულ უმცირესობებზე მოდის) და სვამს კითხვას – რა გავაკეთებთ ამ მიმართულებით 2011 წლის შემდეგ? რაც შეეხება ზოგადი უნარების ტესტს, აცხადებს, რომ ზოგადი უნარების სწავლება ცალკე საგნად არც ოდესმე დაგეგმილა და არც ახლა იგეგმება. იმისთვის, რომ მოსწავლეებს ზოგადი უნარები განუვითაროთ, სკოლაში სწავლების ხარისხი უნდა გავზარდოთ იმ უნარების გასავითარებლად, რომელსაც არც ზოგადი უნარების ტესტი ზომავს, საბოლოო ჯამში, და არც სხვა რომელიმე ცალკე აღებული ტესტი. „თუ დისციპლინებში სწავლება არ გავაძლიერებთ, ვერაფერს მივაღწევთ. ჩვენი ბერკეტი და შესაძლებლობა ის არის, რომ სკოლებში ამ უნარების დისციპლინებში ინტეგრირებულად სწავლებაზე მოვახდინოთ ზეგავლენა – სამოქალაქო განათლება, უცხო ენები, ინტერდისციპლინური მიდგომების დაწერვა და ა.შ., რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა მოგვცეს ეფექტი – სხვადასხვა დისციპლინების სწავლების საფუძველზე მოსწავლეებს განუვითარდეთ ეს უნარები.“

კვლევის ავტორია ლელა ჩახაია (განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ევროპული უნივერსიტეტი, ფლორენცია, იტალია), ხოლო კვლევის რეცენზენტი – პეტერ ვან რიჯენი (უფროსი მეცნიერი, გლობალური საგანმანათლებლო ტესტირების სერვისი – ETS Global, ამსტერდამი, ნიდერლანდების სამეფო). კვლევა ხელმისაწვდომია შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრის ვებგვერდზე.

კონკურსი უფროსკლასელთათვის – 2019

ჩვენი კუთხის ტრადიციული ხალხური დღესასწაულები კონსერვაცია

არამატერიალური მემკვიდრეობა საზოგადოების კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მოიცავს ზეპირსიტყვიერებას, როგორც კულტურული მემკვიდრეობის გამოსახვის საშუალებას, ადათ-წესებს, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმებს, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, მათთან დაკავშირებულ საგნებსა და კულტურულ სივრცეებს, ყველაფერს, რაც ტრადიციულ კულტურას უკავშირდება, თაობიდან თაობას ცოდნისა და გამოცდილების სახით გადაეცემა და გაფრთხილებასა და შენარჩუნებას, ხშირ შემთხვევაში კი დაცვასა და აღორძინებას საჭიროებს.

არამატერიალური კულტურის მნიშვნელობას ადასტურებს იუნესკოს მრავალწლიანი ძალისხმევა მისი დაცვისა და პოპულარიზაციისათვის. 2001 წელს იუნესკოს მიერ შექმნილ „მსოფლიო ზეპირი და ხელთუქმნელი შედეგების“ ნუსხაში, 19 ნიმუშს შორის, ერთ-ერთი სწორედ ქართული მრავალხმიანობაა. 2013 წლის დეკემბერში იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომიტეტმა წარმომადგენლობითი ნუსხაში „ქვეყრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“ აღიარა. 2016 წლის 30 ნოემბერს კიდევ ერთი ქართული ძეგლი – „ქართული ანბანის

სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“, 2018 წელს კი „ქართული ჭიდაობა“ შევიდა იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური კულტურული საგანძურის წარმომადგენლობითი ნუსხაში.

საერთაშორისო აღიარების უპირველესი წინაპირობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე დაცვა და გაფრთხილებაა. ამ სფეროს წარმატებული დაცვისათვის კი უმნიშვნელოვანესია ტრადიციების მოძიების, ფიქსაციისა და დაცვაში ახალგაზრდების აქტიურად ჩართვა.

უფროსკლასელთა კონკურსი უკვე მეექვსედ ტარდება და წარმატებულ ტრადიციად ჩამოყალიბდა. ყოველ წელს იცვლება კონკურსის თემა. წლებადედი კონკურსის თემაა „ჩვენი კუთხის ტრადიციული ხალხური დღესასწაულები“.

ჩვენი კონკურსები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადამწყვეტაში სკოლის მოსწავლეების ინტელექტუალური რესურსის წარმოჩენის და დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების გაძლიერების შესანიშნავი საშუალებაა.

კონკურსის მიზანია: ააჯანყოს და კერძო სკოლების მოსწავლეების, მათი ოჯახის წევრების, პედაგოგებისა და ადგილობრივი თემის ჩართვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი სახალხო დღესასწაულების მოძიებასა და ფიქსაციაში.

ჩატარების ვადა: კონკურსი ტარდება 2019 წლის თებერვ-

ლიდან ივნისამდე. ინფორმაცია კონკურსის თაობაზე გავრცელება გაზეთ „ახალი განათლებით“ და სხვა საინფორმაციო საშუალებებით. ასევე ელფოსტის საშუალებით მიენიშნებათ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს.

განხორციელების მეთოდოლოგია: პირველ ეტაპზე სკოლებმა ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com უნდა გადმოგზავნონ საკონკურსო მასალა, რომელიც შეიცავს ხალხური დღესასწაულის ზედმიწევნით ზუსტ აღწერას და დღესასწაულის ამსახველ ფოტომასალას (სასურველია აუდიო/ვიდეო).

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდება.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სკოლის მოსწავლეებს – ინდივიდუალურად და ჯგუფურად, პედაგოგის ხელმძღვანელობით.

ექსპერტების კონსულტაციების გათვალისწინებით, შესწორებული და შერჩეული ტექსტური ფაილების მიხედვით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გამოსცემს ილუსტრირებულ კრებულს, რომელიც, სხვა სამახსოვრო საჩუქრებთან ერთად, გამარჯვებულ მოსწავლეებს საზეიმოდ გადაეცემათ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

კონკურსი უფროსკლასელთათვის 2019

„ჩვენი კუთხის ტრადიციული ხალხური დღესასწაულები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გაზეთის „ახალი განათლება“, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის, თემაზე: **„ჩვენი კუთხის ტრადიციული ხალხური დღესასწაულები“** (* არ იგულისხმება საეკლესიო კანონიკური დღესასწაულები).

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს და დააფიქსიროს დღემდე, ამჟამად ყოფაში არსებული და უხუცესების მეხსიერებაში შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი ხალხური დღესასწაულები;
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ხელი შეუწყოს ძველი ქართული ხალხური დღესასწაულების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსი მოიწყობა ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი
გულისხმობს სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

საინტერესო ნამუშევრების წარმდგენი გადაეცემა მეორე ეტაპზე.

მეორე ეტაპი

მეორე ეტაპზე გადასული მოსწავლეები, საჭიროებისამებრ, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხე-

ლახლა გადმოგზავნიან მათ.

კონკურსის გამარჯვებულებს გამოავლენს სპაციალურად შექმნილი ჟიური.

საკონკურსო თემის წარდგენის ფორმა

- თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:
- 1. Word-ის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;
- 2. მოსწავლეების მიერ აღწერილი დღესასწაულის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოები (3-5), ფოტოები უნდა გადმოგზავნოს თემასთან ერთად, მაღალი რეზოლუციის jpg ფორმატში და იყოს დასათაურებული;
- 3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას (3-5), გადმოგზავნილ ასევე მაღალი რეზოლუციის jpg ფორმატით;
- 4. შეძლებისდაგვარად, დღესასწაულის ამსახველ აუდიო/ვიდეორჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებული იქნას მობილური ტელეფონით).

შესაძლებელია ნიმუში ჩაინეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლის თხრობის მიხედვით;

შესაძლებელია მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად, საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com
- ან გაზეთ „ახალი განათლება“ რედაქციაში,
- ან მოგვანოლის ფოსტით, მისამართზე: თბილისი, 0105 თაბუკაშვილის ქ. №5. „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“.

ნამუშევრის აღწერა:

ნამუშევარი შესრულებული უნდა იყოს Word Document ფაილში და უნდა მოიცავდეს შემდეგ საგვალდებულო ჩანაწერს:

- 1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – ხალხური დღესასწაულის დასახელება;
- 2. ავტორი მოსწავლის/ეების – სახელი, გვარი
- 3. ხელმძღვანელი პედაგოგი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
- 4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;

5. სკოლის დირექტორი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი);

6. ნიმუშის აღწერა.

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული დღესასწაული – მოკლე განმარტება მის შესახებ;
- სახელწოდება (ავრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);
- ნიმუშის ჩანერის აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩანერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მთხრობელს აღნიშნულ დღესასწაულში;
- ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რა სეზონურობით ტარდება დღესასწაული;
- რა უკავშირდება აღნიშნული სახალხო დღესასწაული;
- რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);
- სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული სახალხო დღესასწაულის გამართვისათვის;
- რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ელემენტის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის;
- ზედმიწევნით აღწერეთ სახალხო დღესასწაულის მსვლელობის პროცესი.

სუფიციკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნიმუშს შეიძლება ახლდეს შესაბამისი ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა.

გადმოგზავნის ვადაა 2019 წლის 25 აპრილი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
599 08 40 03
aramaterialuri@yahoo.com

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მაკა თაქთაქიშვილი

თვალსაზრისი

გამოსვლა და უმაღლესი განათლება საქართველოში

დიდი ხანია, მსოფლიო დარწმუნდა: კარგი განათლება, მეცნიერება და კულტურა საბაზრო ეკონომიკის წესებითა და თვითდაფინანსებით ვერ იარსებებს. მაგალითად, მსოფლიოში ცნობილი ჰარვარდის კერძო უნივერსიტეტიც კი ვერ არსებობს თვითდაფინანსებით – მის ბიუჯეტს ქველმოქმედება და ზოგჯერ სახელმწიფო ბიუჯეტიც კი ავსებს. განათლებას, მეცნიერებასა და კულტურას საგანგებო დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანდა მეცნიერებას სჭირდება. უამისოდ მათი ხარისხი სავალალოდ დაბლდება. ეს კი, ჯერ ერთი, ადამიანებს ცხოვრებას უფუჭებს (ვინაიდან ადამიანის ბედნიერი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი პროფესიონალიზმია). მეორეც, სახელმწიფოს ეკონომიკას ბუმერანგვით უბრუნდება უკან – განათლებაში დაზოგილი ყოველი ლარი მომავალში ასლარიან ზარალს იწვევს (სხვა საკითხია, რომ საქართველოში განათლების ისედაც მცირე თანხების არცთუ მცირე ნაწილი არამიზნობრივად იხარჯება).

საქართველოში, ერთი მხრივ, განათლება ბიზნესადაა გამოყენებული, ანუ ფინანსური მოგების წყაროადა ქცეული. მეორე მხრივ, განათლების დაფინანსება საბაზრო ეკონომიკაზეა მიგდებული, კერძოდ – ვაუჩერულ დაფინანსებაზე. სკოლა თუ უნივერსიტეტი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაფინანსებას მოსწავლე-სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად იღებს. ამიტომ სასწავლებლის კეთილდღეობა პირდაპირაა დამოკიდებული მისი კონტინენტის რაოდენობაზე. ამიტომაც, რომ სასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს/სტუდენტს ებლაუჭება, სასწავლებელს თანხის არც ერთი შემომტანი არ ეთმობა. ეს კი შეუთავსებადია სწავლების ხარისხთან.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპი ზერელედ გულისხმობს, რომ ხარისხს „თვითონ ბაზარი დაარეგულირებს“ – რომ ვითომ რაც უფრო მაღალია სწავლების ხარისხი, მით უფრო მეტი კონტინენტი ეყოლება სასწავლებელს. მაგრამ ეს ნეოლიბერალიზმის საბედისწერო შეცდომაა. როგორც წესი, სასწავლებლის არჩევნისას, სწავლების რეალური ხარისხი კი არაა განმსაზღვრელი, არამედ სულ სხვა ფაქტორები: უბანი, პრესტიჟულობა, მოდური სპეციალობა, რეკლამა, ნამხედვრობა, ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და სხვა (იშვიათი გამონაკლისები საერთო ვითარებას ვერ შეცვლის). უფრო მეტიც, მოქალაქემ რომც მოისურვოს და მართლაც სწავლების ხარისხის შესაბამისად აირჩიოს სასწავლებელი, ამას მაინც ვერ შეძლებს – ვერსად მოიპოვებს სანდო და მიუკერძოებელ ინფორმაციას სწავლების ნამდვილი ხარისხის შესახებ (ეს ყოველივე მხოლოდ ჭორების დონეზეა).

საქართველოს განათლების სისტემა, დაწყებული, ალბათ, სკოლის VII-VIII კლასებიდან, სწორედ საბაზრო სულისკვეთებითაა განმსჭვალული – ატესტატების, დიპლომების, სერტიფიკატების, მასწავლებელთა კრედიტულების, თანამშრომელთა ხელფასებისა და დამფუძნებელთა დივიდენდების სავაჭრო დასლადაა ქცეული.

დაფინანსების მახინჯმა სისტემამ, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების უფარვისობასთან ერთად, საბოლოოდ განადგურა სწავლების ხარისხი საქართველოში. ამას მწარედ წარმოგიჩინეს საერთაშორისო ტესტირებათა შედეგები. განათლების სისტემის შედეგი და სახე არის არა ცალკეული ახალგაზრდის საამაყო წარმატებები, არამედ საშუალო დონე, რომლითაც საქართველო მსოფლიოს უდაბლეს 25%-შია. ამასვე გვიჩვენებს ჩვენი დიდი პრაქტიკული გამოცდილება. 15-20 წლის განმავლობაში ტრენინგები და ტესტირებები ჩავატარებთა ასეულობით მოსწავლისთვის, ასეულობით სტუდენტისთვის და აგრეთვე ათასეულობით სხვადასხვა სპეციალობის ახალგაზრდა თუ ხნიერი უმაღლესდამთავრებულისთვის (უმეტესად, სკოლის მასწავლებლებისთვის). გვაქვს მდიდარი სტატისტიკური მასალა, რომელიც სავალალო მდგომარეობას გვიჩვენებს. მთელი ამ წლების განმავლობაში ცოდნისა და უნარ-ჩვევათა საშუალო დონე განუზრვლად იკლებს, ყოველი მომდევნო წელიწადი წინანდელზე უარესია. ეს პროცესი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირშია დაწყებული, დაახლოებით 1970-იანი წლებიდან. მაშასადამე, მცდარია გავრცელებული აზრი, რომ საბჭოთა განათლების სისტემა კარგი იყო (ცოდნის დონე კი იყო ამჟამინდელზე უკეთესი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ახლა უარესია და არა იმიტომ, რომ ის კარგი იყო). ამჟამად მრავალი მასწავლებელი, აგრეთვე ახალგაზრდა მაგისტრანტი და დოქტორანტიც კი, საკუთარ სპეციალობაშიც კი, კარგი მეთოდოლოგიის დონეზე ვერაა (მაგალითად, საფინანსო-ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტების უმრავლესობამ პროცენტები და გრაფიკები არ იცის წესიერად; ფილოლოგებმა – ზმნის პირის ნიშნები; ისტორიკოსებმა – რენესანსის ხანა და ასე შემდეგ). ეს ახალგაზრდები დისერტაციასაც იცავენ და, ვისაც გავლენიანი მფარველი ჰყავს, საპასუხისმგებლო თანამდებობასაც იკავენ; უცხოეთში რაიმე სერტიფიკატსაც მოულობენ, რის შემდეგაც „ექსპერტად“ გვეყვებიან და ლუპავენ მრავალ ადამიანს, აგრეთვე მთელი საქართველოს მომავალს.

„ნაცების“ ხელისუფლებამ საქართველოში სულ რამდენიმე კარგი ცვლილება განახორციელა (არასაკმარისი, თუმცა კეთილისმყოფელი). ერთ-ერთი ასეთი ცვლილება სახელმწიფო გამოცდების დაწესება იყო: 1) სკოლის დამამთავრებელი გამოცდები; 2) უმაღლესში მისაღები გამოცდები; 3) სახელმწიფოს მიერ რეგულირებად პროფესიებში (მასწავლებელი, ექიმი, იურისტი) სერტიფიკირება. გამოცდების თითოეულ ამ ნაბიჯს მრავალი დაუშვებელი ხარვეზი ჰქონდა (რის შესახებაც მრავალჯერ განვიცხადებთა მასმედიაშიც, ოფიციალურ წერილებშიც და სხვადასხვა თათბირებზეც, თუმცა ამას შედეგად მხოლოდ ჩვენი შევიწროება მოჰყვა...). მაგრამ, კეთილი ნებისა და ნეოლიბერალის შეზღუდვის პირობით, ეს ხარვეზები ადვილად გამოიწორებოდა. სამწუხაროდ, ხარვეზების გამოსწორების ნაცვლად, სამინისტრომ სულ გააუქმა სახელმწიფო გამოცდების სისტემის მთავარი კარგი მხარეები.

1) სკოლის დამამთავრებელი გამოცდების გაუქმება. ე.წ. „კა-

ტის“ გამოცდები არ ვარგოდა არც შინაარსით და არც ორგანიზაციულად, ამიტომ ნამდვილად გასაუქმებელი იყო. ასევე ნამდვილად ცუდია სწავლა გამოცდისთვის. მაგრამ კიდევ უფრო უარესია სულ არსწავლა. ფაქტია, რომ უფროს კლასებში რამდენიმე სასკოლო საგნის სწავლა სწორედ საატესტატო გამოცდების დაწესების შემდეგ დაიწყეს მოსწავლეებმა, ხოლო როგორც კი ყური მოჰკრეს საატესტატო გამოცდების გაუქმებას, მეორე დღესვე თავი დაანებეს ამ საგნების სწავლას (მრავალგან – გაკვეთილებზე დასწრებასაც კი). ესაა სამინისტროს მიერ შეპირებული „სკოლის გაძლიერება“?

2) მეოთხე საფლდებულო მისაღები გამოცდის გაუქმება. ეს მეოთხე გამოცდა უმაღლესი სასწავლებლის კეთილგონიერებაზე დარჩა დამოკიდებული. ესე იგი, სასწავლებლებს კანონი იმის უფლებას მისცემს, რომ აბიტურიენტი ჩაირიცხოს: სამედიცინოზე – ბიოლოგიის გარეშე; ფილოლოგიაზე – ქართული ლიტერატურისა და თეორიული გრამატიკის გარეშე; ქიმიაზე – ქიმიის გარეშე და ასე შემდეგ. ესაა სამინისტროს მიერ შეპირებული „უმაღლესი სასწავლებლის გაძლიერება“?

3) ზოგად უნართა სავალდებულო ტესტირების გაუქმება (იმის მაგივრად, რომ სასკოლო განათლებაშიც დანერგილიყო ზოგად უნართა სისტემური და სისტემატური განვითარება). საერთაშორისო გამოცდილებამ უკვე დაამტკიცა: 1) ზოგად უნართა ტესტის შინაარსი – ესაა ის რეალური მინიმუმი, რომელიც, ჯერ ერთი, გაუყალბებლადაა მისაწვდომი ყველა ნორმალური ადამიანისთვის; მეორეც, საჭირო და აუცილებელია 21-ე საუკუნის ყველა მოქალაქისთვის, სპეციალობის მიუხედავად; 2) ზოგად უნართა ტესტირება სხვა საშუალებაზე უფრო სანდოდ ზომავს ახალგაზრდის სასტუდენტო მზაობის რეალურ დონეს – რამდენადაა ახალგაზრდა მზად უმაღლეს სასწავლებელში სწავლისთვის; თუკი ადამიანი ვერ გადალახავს ამ ტესტის ბარიერს, ის თითქმის ვერც ერთი განხილვის ვერ შეძლებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლას; ფუჭად იქნება გაფლანგული როგორც სახელმწიფოს, ისე ოჯახის თანხები და აგრეთვე ახალგაზრდის ცხოვრების წლები. ამიტომ მართებული იყო, როდესაც ზოგად უნართა ტესტირება უმაღლეს სასწავლებელში (ერთხანს სულაც ამ გამოცდაზე მისაღებულ ქულაზე იყო დამოკიდებული გრანტის მიღება-არმიღება ან მისი ოდენობა).

4) გამოცდების სავალდებულო ბარიერის გაუქმება (გამოცდების სამივე ნაბიჯში, მათ შორის, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებში). მეოთხე გამოცდაც, ზოგად უნართა ტესტაც და სავალდებულო ბარიერაც უმაღლესი სასწავლებლის კეთილგონიერებაზე დარჩა დამოკიდებული. ეს კი უარესად საეჭვო და არამყარია საფუძველია, რადგან, როგორც უკვე ვიმსჯელებთ, სასწავლებელი ფულის შემტან თითოეულ სტუდენტს ებლაუჭება. ამიტომ სასწავლებელთა დიდი უმრავლესობა დამატებით გამოცდებისა და ბარიერების დაწესებას მოერიდება. ეს ყოველივე კი საბოლოოდ ნულამდე დასცემს საქართველოში ისედაც დაცემულ სწავლების ხარისხს.

საქართველოში ადრეც უდაბლესი ბარიერი იყო. მაგალითად, ზოგად უნართა ტესტის მინიმალური ბარიერი წესით 40%-ია. ამაზე ნაკლები ბარიერით ეს ტესტი წესიერად ვეღარ მიშობავს (ისევე როგორც სარეცხი მანქანა ვერ იმუშავებს, თუკი მის ინსტრუქციას დავარღვევთ, მაგალითად, თუკი 220-ის ნაცვლად 120 ვოლტში ჩავრთავთ). ჩვენთან კი ბარიერი 27% იყო მაშინ, როდესაც ამ ტესტში საშუალოდ 22% პასუხების ახალბედზე შემოხაზეთ გროვდება, ანუ ძნელია იმის მოხერხება, რომ ბარიერი ვერ გადალახო, მაგრამ ზოგი აბიტურიენტი, ზოგ გამოცდაზე, ამასაც ახერხებდა და უმაღლესი სასწავლებლის გარეთ რჩებოდა. ამიტომ უმაღლეს სასწავლებლებში მრავალი ცარიელი ადგილი რჩებოდა, თანაც ამ „მოცდენილი“ ადგილების რაოდენობა წლიდან წლამდე იმატებდა ცოცხალ-განვითარების საშუალო დონის კლების შესაბამისად. ეს კი უმისაგვალს უკარგავდა უმაღლეს სასწავლებელსაც და ნაწილობრივ – სახელმწიფოსაც. მრავალი ოჯახი განაწყენებულიც რჩებოდა. სწორედ ამ განაწყენებისა და, რაც მთავარია, ფინანსური დანაკარგების აღკვეთა არის ის მთავარი მიზანი, რომელსაც სამინისტროს ახალი ინიციატივა ისახავს. გრძელდება „საბაზრო მიდგომა“, დამღუპველ პოპულიზმთან ერთად.

კომუნისტების ხანაში საქართველოში 1,5-ჯერ მეტი ახალგაზრდა ცხოვრობდა, ვიდრე ამჟამად, წარმოება მუშაობდა და სპეციალობის შესაბამისი დასაქმება კი თითქმის 100%-იანი იყო. მაშინ უმაღლეს სასწავლებელთა ყოველწლიური კონტინენტის საერთო რიცხოვნება 8 ათასს არ აღემატებოდა. ამის მიუხედავად და აგრეთვე იმის მიუხედავად, რომ მაშინდელი აბიტურიენტის მომზადების საშუალო დონე ამჟამინდელზე გააცილებით მაღალი იყო, მაშინაც კი სტუდენტების უმრავლესობა ფუჭად აცდენდა უმაღლეს სასწავლებელთა ადგილებს, რადგან არ/ვერ სწავლობდა და ყალბად იღებდა ნიშნებს. ახლა შევადარებთ: ამჟამად, მასობრივი უმუშევრობისა და 1,5-ჯერ ნაკლები რაოდენობის ახალგაზრდების პირობებში, კონტინენტის საერთო რიცხოვნება 30-40 ათასია, ანუ ახალგაზრდების რაოდენობასთან პროპორციით 6-ჯერ მეტია, ვიდრე კომუნისტებისდროინდელი კონტინენტი და 12-ჯერ მეტია, ვიდრე რეალურად საჭირო, ოპტიმალური კონტინენტი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენი პროფესორ-მასწავლებელი სჭირდება 4-ჯერ 30000, ანუ 120000 ბაკალავრიანტს, კიდევ ათასობით მაგისტრანტს და კიდევ ასეულობით დოქტორანტს? საქართველოში კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა ამის ნახევარსაც კი ვერ გასწვდება. უმაღლეს სასწავლებელთა აკრედიტაცია კი ყალბი ბიუროკრატიული პროცედურაა, „საბაზრო ეკონომიკის“ კიდევ ერთი წყაროა და ნამდვილ ხარისხთან შეხებაც კი არ აქვს. რატომ არ ევალება უნივერსიტეტის მასწავლებელს სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება? თუკი მოსამართლეს ეკადრება, უნივერსიტეტის მასწავლებელს რატომ არ ეკადრება?

სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორს, სამინისტროს ექს-

პერტს, მასწავლებელთა მწვრთნელსა და ტესტის შემდგენელს რატომ არ ევალება იმ გამოცდების ჩაბარება, რომლებსაც რიგითი სკოლის მასწავლებლები აბარებენ? თუკი ჩხორონყუს რაიონის გეოგრაფიის მასწავლებელმა უნდა იცოდეს პიაჟეს თეორიის საწყისები, გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორს რატომ არ ევალება? თუკი, არსებული სასწავლო სტანდარტების მოთხოვნით, სკოლადამთავრებულს ევალება რომელიმე მაღალი სააზროვნო დონის უნარ-ჩვევის ფლობა, იმავე ახალგაზრდის მომავალ ლექტორს რატომ არ ევალება? ტექსტის გააზრება და ლოგიკური აზროვნება მწვრთნელს არ სჭირდება?

სპეციალისტს უნდა დაევალოს დარგის ექსპერტის ოფიციალური ნოდების მოპოვება სათანადო გამოცდების ჩაბარებით (მათ შორის, ზოგად უნართა ტესტისა, სულ მცირე, რიგითი აბიტურიენტის დონეზე მაინც). ექსპერტის ნოდების გარეშე კი უნდა აიკრძალოს ლექტორობა, ავტორობა, სამინისტროს სისტემაში ექსპერტ-სპეციალისტის თანამდებობის დაკავება, ტრენინგის ჩატარება და ტესტების შედგენა. თუკი არ აიკრძალება, სტუდენტსა თუ მასწავლებელს ის მაინც ეცოდინება, ნამდვილი ექსპერტი ასწავლის თუ არა და უღირს თუ არა ამაში ფულის გადახდა. ამგვარი გამოცდები რომ დაწესდეს, საქართველოში ამჟამად აღზევებული „ექსპერტების“ ნახევარი მაინც აიჭრება. ამით უმეტესად მაინც მოგვარდება კონტინენტის ოპტიმიზაციის პრობლემა. ამბობენ ხოლმე, ასეთი გამოცდების ტესტები ვიღამ შეადგინოსო. ეს ადვილი მოსაგვარებელია: ზოგად უნართა ტესტები უკვე მრავალადა შედგენილი და ალაღობდენ აირჩევა 2005-2017 წლების ტესტებიდან (ყოველწლიურად 4-5 ვარიანტია); ასევე მრავალადა მასწავლებელთა პროფესიულ უნართა ტესტები და სხვა. ხოლო რომლებიც ვერ მოიძიებთ, ისინი თავდაპირველად უცხოელ სპეციალისტებს და უცხოეთში მომუშავე ქართველ სპეციალისტებს შევადგინებთ, მეერ კი უკვე აქაური სერტიფიკირებული ექსპერტები შეადგენენ (საორგანიზაციო მხარე ისევე მოგვარდება, როგორც მასწავლებლების, ექიმებისა თუ იურისტების სასერტიფიკაციო გამოცდების დროს გვარდება). ძველ ჩინეთში, უკვე VIII საუკუნეში, დაწესებული იყო გამოცდებით თანამდებობის პრიორიტეტი.

უსაშველოდ გაბერილი კონტინენტის, ანუ საგამოცდო ბარიერის საკითხი ყველაზე მწვავეა და მართლაც დამღუპველი შედეგების მომტანია. ამას სამი არგუმენტით დავასაბუთებთ. მემ რატომაც დამღუპველი ის პოლიტიკა, რომ ყველა აბიტურიენტის გასტუდენტობით ოჯახებიც გაგახაროთ და უმაღლესი სასწავლებლებიც?

1) საქართველო ავსებულია უცოდინარი დიპლომირებული ვაისპეციალისტებით, რომელთა ნაწილი (ვისაც გავლენიანი მფარველი ჰყავს) საპასუხისმგებლო თანამდებობაზეა. მაგალითად, მრავალმა მედიკოსმა იმ მიკროორგანოს ანატომიური მდებარეობაც კი არ იცის, რომელსაც უნდა უმკურნალოს; მრავალი მასწავლებელი თავის დარგში მე-3 კლასისთვის განკუთვნილ ამოცანებსაც კი ვერ ხსნის; მრავალი „ექსპერტის“ საქმიანობა კი იმით იფარგლება, რომ ფუჭ და ყალბ ბიუროკრატიაში მაღალ ხელფასს იღებს და თავის ირგვლივ პროფესიონალს არ აჭაჭანებს. არის თუ არა ეს საქართველოს მომავლის დაღუპვა?

2) ოჯახი სახელმწიფოსა და უმაღლესი სასწავლებლის მიერაა მოტყუებული. ოჯახს ჰგონია, რომ შვილის მომავალზე ზრუნავს. ბანკის კრედიტს იღებს, უკანასკნელ მანქანასა თუ ძროხას ყიდის, ბინასა და მიწას აგირავებს, უმინანყოლოდ რჩება... შვილის „ბედნიერი მომავლის“ გულისთვის. მაგრამ ეს შვილი ლექცია-სემინარებზეც კი არ დადის, ანუ ქუჩაში (ან სამორინებში) ყრის იმას, რაც ოჯახმა სისხლის ფასად იყიდა (რატომ არ აწუხებს სამინისტროს ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში გაცდენები 50%-ს აჭარბებს, ხოლო არგაცდენის შემთხვევაში სტუდენტების, საშუალოდ, მხოლოდ 20-30%-ია ჩართული სასწავლო პროცესში?). ათათასობით ხელმოკლე სტუდენტი სტატუსი აქვს შეჩერებული. შედარებით წარმატებული კი აიღებს და ააფრიალებს ფარატინა დიპლომს, მაგრამ ოჯახი გალატაკებული დახვდება, ფარატინა დიპლომს კი ათათასობით სხვა უმუშევარი ახალგაზრდა აფრიალებს. ათათასობით უმუშევარი იურისტი, ეკონომისტი თუ პოლიტოლოგ-დიპლომატი აფრიალებს დიპლომს, ოჯახი კი შვილს იურიდიულ/ეკონომიკურ/საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობაზე აგზავნის. ლატარეაში ან სამორინებში უფრო მეტი შანსია მოგებისა, ვიდრე ამ სპეციალობებით სამსახურის შოვნისა. და თუკი უმაღლესდამთავრებულმა მეერ მაინც „ბიზნესი“ უნდა დაინყოს, თანაც არა სპეციალობით, მაშინ რისთვის დაიკარგა 4 წელიწადი და ის დიდძალი თანხები, რომლებიც სწორედ იმ „ბიზნესის“ წამოსაწყებადაა საჭირო? ისედაც გაჭირვებული ათათასობით ოჯახის გაღატაკება და ახალგაზრდების მასობრივად უმუშევრად დატოვება არის თუ არა საქართველოს მომავლის დაღუპვა?

3) ყალბი სტუდენტობის 4 წლის განმავლობაში ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა გზას ასცდება. ზოგი უსაქმურობასა და მარისუანას ან უარესს გაუგებს გემოს, ზოგი – კრიმინალურ საქმიანობას, ზოგი წესიერ ცხოვრებას კი ინარჩუნებს, მაგრამ დამოკიდებულებები და შეხედულებები აქვს დამახინჯებული: მიჩვეული იმას, რომ სიყალბე და მოჩვენებითობაა „საქმის კეთება“, ნამდვილი საქმის კეთებაზე კი წარმოადგენს არ აქვს (ანუ მზადაა მომავალი კორუფციონერი); თავი დიპლომირებული სპეციალისტი ჰგონია და თავისთვის რეალურად შესაფერის საქმიანობას აღარ კადრულობს, თუკი ოფისში მენეჯერის მოადგილეობას მაინც არ შესთავაზებენ, ბედსა და მთავრობის უმუშევრობას აყვედრის. სწორედ ესაა მთავარი მიზეზი, რომლის გამოც სოფლები ცარიელდება და მუშახელი აღარაა. არის თუ არა ეს საქართველოს მომავლის დაღუპვა?

ათათასობით ახალგაზრდის ცხოვრების გზის გამრუდება არის თუ არა საქართველოს მომავლის დაღუპვა? ჩვენი წინაპრები გვძლენ: „იყიდება საქართველო“. ამჟამად საქართველოც იყიდება და მისი მომავალიც გირაოში იდება. ამის შესაჩერებლად ერთადერთი გზაა: განათლების პო-

როგორ დავგებოთ ინტეგრირებული გაკვეთილი?

მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული გაკვეთილი არ ნარმოადგენს სიახლეს და ინტეგრირებულ სწავლებას დიდი ისტორია აქვს, დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, მან კიდევ უფრო მეტი აქტიულობა შეიძინა. გაკვეთილის ამ ტიპს მასწავლებლები საკმაოდ ხშირად და ეფექტიანად იყენებენ. სასწავლო პროცესში ინტეგრაცია სხვადასხვა საგანში შესასწავლი თემების ერთმანეთთან ორგანულ დაკავშირებას გულისხმობს. ინტეგრირებული გაკვეთილი არის ერთი და იმავე, მონათესავე ან გამჭოლი თემატიკის ირგვლივ გაერთიანებული ორი ან რამდენიმე სასწავლო საგნის მიხედვით დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილი.

თანამედროვე სამყაროში ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფერო ორიენტირებულია ინფორმაციის ფლობაზე, მის გაზიარებასა და სხვადასხვა მომიჯნავე სფეროებში გამოყენებაზე. 21-ე საუკუნე ცვლილებების საუკუნეა, რომელიც ადამიანისაგან მეტ მობილობას ითხოვს. მას შეიძლება მოუწიოს საკუთარი პოზიციისა და პროფესიის შეცვლა. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება განათლების როლი, რათა ადამიანი ადვილად შეძლოს თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება. ამიტომ მასწავლებლის ვალდებულება, თანამედროვე სამყაროში, მხოლოდ საგნის სწავლებით არ შემოიხზაზღვრება. თანამედროვე მოთხოვნები ზოგადი განათლების მიმართ მასწავლებლებს კიდევ უფრო შორს მიმავალ მიზნებს უსახავს და უბიძგებს მათ, ხშირად გამოიყენონ ინტეგრაცია იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ისწავლონ ერთი თემის მეორესთან დაკავშირება, ერთი სასწავლო საგნისა – მეორესთან. ეს ხელს უწყობს ცოდნის გამოთლიანებასა და ასევე შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას, რასაც საგანმანათლებლო ლიტერატურაში „ტრანსფერ“ უწოდებენ. დიმიტრი უზნაძის აზრით, აზროვნებას ახასიათებს გადატანის უნარი. მას შემდეგ, რაც მოსწავლე ერთხელ გადაჭრის ამოცანას, მას უკვე აღარ უჭირს ანალოგიური ამოცანების გადაჭრა სხვა სიტუაციაში. ტრანსფერი არ ხდება თავისთავად. ამისთვის საჭიროა სწავლების სპეციალური დაგეგმვა.

სწორედ ამიტომ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ მასწავლებელი, გაკვეთილის დაგეგმვისას, ითვალისწინებდეს შიდა და საგანსწორის კავშირებს. სტანდარტის სწორედ ამ მოთხოვნამ განაპირობა საშობლო გაკვეთილის ერთ ტიპად ინტეგრირებული გაკვეთილის შემოტანა, რომლის იდეა შესასწავლი თემიდან გამომდინარე უნდა შეირჩეს, უნდა იკვეთებოდეს მჭიდრო კავშირი სხვა დისციპლინასთან/დისციპლინებთან, რომელთანაც/რომლებთანაც მასწავლებელი შესასწავლი თემის დაკავშირებას გადაწყვეტს. ცხადია, ინტეგრირებული გაკვეთილები ყოველდღიურად ვერ ჩატარდება, რადგან მათ, ზედმიწევნით დაგეგმვის გარდა, სხვა სირთულეებიც ახლავს. მაგალითად, იმისათვის, რომ ინტეგრირებული გაკვეთილი სრულფასოვანი გამოვიდეს, ხშირად ერთი გაკვეთილი საკმარისი არ არის და შეწყვილებული გაკვეთილის ჩასატარებლად ცხრილში ცვლილებების შეტანაა საჭირო.

სასწავლო საგნებს შორის კავშირის დამყარება მოსწავლეებისთვის, სასარგებლოდ ერთ-ერთად, ძალიან საინტერესოცაა, განსაკუთრებით – დაწყებით საფეხურზე. სწორედ ამიტომ, სასწავლო წლის დასაწყისში, დაგეგმვე ინტეგრირებული გაკვეთილი მათემატიკასა და ხელოვნებაში, რომელიც პირველ კლასში ჩავატარებ. თავდაპირველად, გავეცანი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის (ხელოვნების) პროგრამას. ამ საგნის სასწავლო გეგმა შეიცავდა მსგავს თემებს და ქრონოლოგიურად შესაძლებელი იყო მათი ერთმანეთთან დაკავშირება. ინტეგრირებული გაკვეთილისთვის სწორად უნდა შეირჩეს საგანგებო თემა, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩეულ თემს უნდა ჰქონდეს ინტეგრირებულ საგანთან შეხების ნერტივლი, ინტეგრირება იყოს ლოგიკური და ბუნებრივი. ინტეგრირებული გაკვეთილის ძირითადი მხასიათაებელი სწორედ ის არის, რომ იგი უზრუნველყოფდეს ინტეგრირებული საგნების შესაბამისი სასწავლო შედეგების მიღწევას.

გაკვეთილის იდეის/თემის ჩამოყალიბების შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს შესაბამის სახელმძღვანელოებში ასახული მასალა, მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია და რესურსები. გაკვეთილის მოსამზადებლად რესურსების მოძიება და მომზადება საკმაოდ შრომატევადია და დროს საჭიროებს, რადგან, ბუნებრივია, მასწავლებლებს მეტი ინფორმაცია აქვთ საკუთარ საგანში არსებულ და ხელმისაწვდომ რესურსებზე, ვიდრე სხვა საგნებში, რისთვისაც უნდა ითანამშრომლო შესაბამისი საგნის მასწავლებელთან.

ინტეგრირებული გაკვეთილის დროს სასწავლო საგნების მთავარი შემაკავშირებელი რგოლი გაკვეთილის თემა გახლავთ, რადგან საგანგებო პროცესის შესაფასებლად პასუხი უნდა გავცეს კითხვებს: მიეცათ თუ არა მოსწავლეებს პროცესში თანაბრად ჩართვის საშუალება? მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია გასაგები იყო თუ არა ყველასათვის? მიეცათ თუ არა მოსწავლეებს საშუალება, ერთი და იგივე საკითხი შეესწავლათ სხვადასხვა კუთხით და მიეზღინათ ცოდნის სინთეზი? და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით | კლასში დაგეგმვე ინტეგრირებული გაკვეთილი, შევარჩიე გაკვეთილის თემა: „გეომეტრიული ფიგურები“ და გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები ინტეგრირებული საგნების (მათემატიკა და ხელოვნება) ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან.

როგორც ვიცი, გაკვეთილის მიზანი უნდა გამოდინარეობდეს ინტეგრირებული საგნების ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან, მოსწავლეთა საჭიროებებიდან, მოთხოვნილებიდან და ინტერესებიდან. მიზანი უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩემი გაკვეთილის მიზანია: „მოსწავლეები ხელოვნების ნიმუშებში და საყოფაცხოვრებო საგნებში ამოიცნობენ ბრტყელი გეომეტრიულ ფიგურებს, აღწერენ მათ წვეროებისა და გვერდების რაოდენობის მიხედვით, დააჯგუფებენ ბრტყელი ფიგურების მოდელებს რაიმე ნიშნით და გამოიყენებენ ნამუშევრების შესაქმნელად“.

წარმატებული გაკვეთილის ჩასატარებლად აუცილებელია კლასში საგანგებო განწყობის შექმნა. კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი, საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შემდეგ, შეეცდება გაარკვიოს მოსწავლეთა მოლოდინი გაკვეთილის მიმართ, რისთვისაც, მაგალითად, შეუძლია გამოიყენოს არავერბალური უწყისი – მოსწავლეებმა ცერა თითის გამოყენებით გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება გაკვეთილის მიმართ, რაც ასევე „გააღიარებს ყინულს“ და მასწავლებელს გზა ექნება გასხილი, მოსწავლეებამდე სწორად მიიტანოს სათქმელი.

თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, გაკვეთილი მოსწავლეზე ორიენტირებული, ამიტომ სასურველია, თუ გაკვეთილზე მოსწავლეებს ექნებათ მსჯელობის საშუალება, რათა ამ გზით შეძლონ გაკვეთილის თემის განსაზღვრა. ვფიქრობ, ამ დროს ხაზგასმულია მოსწავლის ინდივიდი და მასთან თანამშრომლობა, რაც სწავლა-სწავლების პროცესის შედეგიანობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია.

გამოვიყენე საპრეზენტაციო მასალა და მოსწავლეებს, სლაიდის დახმარებით, ვაჩვენე ნიკო ფიროსმანის ნახატი: „კახეთის მატარებელი“. ვთხოვე მათ, დაკვირვებოდნენ სლაიდზე მოცემულ სურათს და ამოეცნოთ მასში ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები. მოსწავლეთა პასუხების მოსმენისა და ანალიზის შემდეგ, მათ გავაცანი გაკვეთილის თემა, მიზანი, გაკვეთილის ტიპი, მოსალოდნელი შედეგები, შეფასების რუბრიკები და შევახსენე გაკვეთილზე ქცევის წესები.

გაკვეთილის დაგეგმვისას, გაკვეთილის მიზნისა და შედეგების განსაზღვრის შემდეგ, აუცილებელია შევარჩიოთ ის აქტივობები და მეთოდები, რომლებიც მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება. აქტივობას დაეხმოს კითხვა – რას ვაკეთებ? თუ დაისმის კითხვა – როგორ ვაკეთებ? ე.ი. რა დიდაქტიკური ხერხით ვახორციელებ ამ აქტივობას, ეს არის მეთოდი. სასწავლო აქტივობები შესაბამისი უნდა იყოს გაკვეთილის მიზანთან და მისი შერჩევისას უნდა დაეფიქრდეთ: დაგვეხმარება თუ არა შერჩეული აქტივობები დასახული მიზნის მიღწევაში? როგორი იქნება აქტივობათა თანმიმდევრობა? შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული აქტივობა მოსწავლეების ცოდნასა და უნარებს? სასწავლო მეთოდების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ: მისი შესაბამისობა სასწავლო აქტივობასთან და კლასის ორგანიზების ფორმასთან; ტექნიკურად მისი განხორციელების შესაძლებლობა.

სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის აუცილებელია მასწავლებელმა შეარჩიოს სასწავლო რესურსები, რომლის საფუძველზეც იგეგმება და წარმართება გაკვეთილი.

ეფექტიანი გაკვეთილის ერთ-ერთი ნიშანია გაკვეთილის ფაზებსა და სასწავლო აქტივობებზე დროის სწორად განაწილება. თითოეული აქტივობისთვის უნდა დიდი დრო, თუმცა შესაძლებელია გაკვეთილის მსვლელობისას კორექტირება შევიტანოთ დროის მენეჯმენტში. ასევე აუცილებელია კლასის ორგანიზების ფორმები სასწავლო აქტივობისა და მეთოდის შესაბამისი იყოს.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა განსაზღვროს, გავიდა თუ არა სასურველ შედეგზე, აუცილებელია, შეამოწმოს სასწავლო შედეგები. გაკვეთილის გეგმაში ასახული უნდა იყოს რა ფორმით ამოწმებს სასწავლო შედეგებს, შეფასების რა ტიპებისა და მეთოდების გამოყენებას აპირებს კონკრეტულ გაკვეთილზე. მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს რა კრიტერიუმით ფასდება ის მოცემულ გაკვეთილზე. კარგია, თუკი მასწავლებელი ხშირად, ყოველი ძირითადი აქტივობის შემდეგ, გამოიყენებს განმავითარებელ შეფასებას, რადგან ეფექტური უკუკავშირი იძლევა მოსწავლის ცოდნის და უნარების დიაგნოსტიკის საშუალებას – რა გავიდა მოსწავლემ კარგად, რა გაუჭირდა და როგორ შეუძლია ხარვეზის გამოსწორება. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, რომელიც გამოიყენება საბაზო და საშუალო საფეხურზე, კარგი იქნება, თუკი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ შეფასების რუბრიკების შექმნაში. მასწავლებელმა, მოსწავლეთა შეფასებისას, შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით, უთხრას მოსწავლეს, თუ რომელ კრიტერიუმში და რატომ დაიმსახურა მან კონკრეტული შეფასება.

აუცილებელია, მასწავლებელმა გაკვეთილის შეფასებაში აქტიურად ჩართოს მოსწავლეები, მაგალითად: ჰკითხოს მათ, რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად და რატომ? რა გაუჭირდათ? ამ თემასთან დაკავშირებით კიდევ რისი გავება სურთ? და ა.შ.

გაკვეთილის დაგეგმვის შემდეგ ერთადერთი საზრუნავი რჩება მასწავლებელს – როგორ მიიტანოს სათქმელი მოსწავლემდე, რისთვისაც ვიყენებთ „ყინულის გაღობის“ მეთოდს შესაბამისი აქტივობით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გთავაზობთ ჩემ მიერ დაგეგმილი და ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმას (მათემატიკა/ხელოვნება).

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი, გვარი: მანანა წულაია
ჩატარების დრო: 25.01.2019 წელი
საბანი: მათემატიკა
გაკვეთილის ტიპი: საშობლო ინტეგრირებული (მათემატიკა/ხელოვნება)
სწავლების საფეხური: დაწყებითი
კლასი: I

მოსწავლეთა რაოდენობა: 25 (სსმ მოსწავლე კლასში არ ირიცხება)
გაკვეთილის თემა: გეომეტრიული ფიგურები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები ხელოვნების ნიმუშებში და საყოფაცხოვრებო საგნებში ამოიცნობენ ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებს, აღწერენ მათ წვეროებისა და გვერდების რაოდენობის მიხედვით, დააჯგუფებენ ბრტყელი ფიგურების მოდელებს რაიმე ნიშნით და გამოიყენებენ ნამუშევრების შესაქმნელად.

გაკვეთილის ზოლოს მისაღწევი შედეგები:
მათ.1.6. მოსწავლეს შეუძლია ბრტყელი გეომეტრიული ფიგურის ამოცნობა და აღწერა:

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ყოფითი დანიშნულების საგნებში ან მათ ილუსტრაციებში უთითებს დასახელებულ ბრტყელ ფიგურებს;
 - შეარჩევს მითითებული ფიგურის მოდელს შერეული გროვიდან;
 - აღწერს მითითებულ გეომეტრიულ ფიგურას (მაგალითად, დასახელებს მოცემული მრავალკუთხედის წვეროების რაოდენობას).

მათ.1.7. მოსწავლეს შეუძლია ბრტყელი გეომეტრიული ფიგურის გამოსახვა და ობიექტთა ურთიერთმდებარეობის ამოცნობა.



- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- რომელიმე ხერხით (მაგალითად, აპლიკაციით ან ნახატის საშუალებით) ქმნის დასახელებული ფორმის ბრტყელი ფიგურის მოდელს ან გამოსახულებას;
 - უთავსებს სხვადასხვა ბრტყელი ფიგურების მოდელს ერთმანეთს ნიმუშზე მოცემული გამოსახულების (ნახატის) მისაღებად;
 - სწორად პასუხობს კითხვებზე ობიექტთა ურთიერთმდებარეობის (მარჯვნივ/მარცხნივ, ზემოთ/ქვემოთ, ნინ/უკან) შესახებ.

ს.გ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ჩანაფიქრისა და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად სახითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი ელემენტის, მასალისა და ტექნიკის გამოყენება ნამუშევარში.

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- იყენებს სხვადასხვა ფერს;
 - იყენებს სხვადასხვა ფორმას (გეომეტრიულს და ბუნებაში არსებულს).
- ს.გ.1.2.მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობა.**
- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- მუშაობს წყვილებში/ჯგუფებში საერთო ნამუშევრის შესაქმნელად, უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს.

№	აქტივობა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	კლასში საგანგებო განწყობის შექმნა. მასწავლებელი მოაგვარებს საორგანიზაციო საკითხებს, ხოლო შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება საგანგებო პროცესის მიმართ, ოღონდ მოსწავლეებმა ეს უნდა გააკეთონ არავერბალურად – ცერა თითის გამოყენებით.	ვერბალური; არავერბალური („სხეულის ენა“)	მთელი კლასი	საკლასო უფრანალი, კალამი	1წთ
2	გაკვეთილის თემის, მიზნის განსაზღვრა, შეფასების რუბრიკების გაცნობა. მასწავლებელი მოსწავლეებს, PP საპრეზენტაციო მასალის გამოყენებით, ანახებს ნიკო ფიროსმანის ერთ-ერთ ნახატს – „მატარებელი“ და სთხოვს დაუკვირდნენ, რა არის გამოსახული სურათზე, ამოიცნონ მასში სხვადასხვა ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები და გამოთქვან ვარაუდი, რას შეიძლება შეეხებოდეს გაკვეთილის თემა.	სოკრატული დიალოგი	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი, PP საპრეზენტაციო მასალა, შეფასების რუბრიკები (მოსწავლეთა შეფასების რუბრიკა და ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა)	3წთ

კვლევა დასახარებად

<p>მოსწავლეების ვარაუდების გამოთქმის შემდეგ, მასწავლებელი შეაჯამებს პასუხებს და განუმარტავს მათ გაკვეთილის თემას და მიზანს, ასევე გაკვეთილის ტიპს. აქვე შეახსენებს ქვეყნის წესებს და შეფასების რუბრიკებს.</p>					<p>ჯგუფებს – „ძალი“ და „გოჭი“ ეძლევათ ცხრილი და სურათები საგანთა გამოსახულებებით. ცხრილის პირველ სვეტში ჩანებებულია გეომეტრიული ფიგურები. მოსწავლეებმა ფიგურების გასწვრივ, მეორე სვეტში, უნდა ჩაანებონ მსგავსი საგანი. ჯგუფებს – „ნაძვი“ და „გირჩი“ ეძლევა ცხრილი, ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილი გეომეტრიული ფიგურები და სურათები საგანთა გამოსახულებებით. ცხრილის პირველ სვეტში ჩანერილია გეომეტრიული ფიგურების სახელწოდებები. მოსწავლეებმა ფიგურები უნდა ჩაანებონ შესაბამისი სახელის უჯრაში და ამ ფიგურების გასწვრივ – მეორე სვეტში უნდა ჩაანებონ მსგავსი საგანი.</p>				
<p>3 მოსწავლეებისთვის პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების სიტყვიერი აღწერის მიხედვით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების ამოცნობის უნარის განვითარება.</p> <p>მასწავლებელი მოსწავლეებს ნაწილობრივ 4 სხვადასხვა მუყაოს ყუთს. თითოეულ მათგანში მოთავსებულია გეომეტრიული ფიგურებიდან (წრე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ხუთკუთხედი) მხოლოდ ერთი. გამოსაცხებელი ჩხირების გამოყენებით მასწავლებელი ირჩევს ორ მოსწავლეს, ერთს ფარულად უჩვენებს ფიგურას და სთხოვს, მისი მახასიათებლებით აუხსნას მეორეს რა ფიგურა ნახა, ხოლო მეორე უნდა ამოიცნოს იგი. ბოლოს მასწავლებელი ამ ფიგურის მოდელს თვალსაჩინოდ აჩვენებს კლასს და ეკითხება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სწორად დაასახელა პირველმა ბავშვმა ფიგურა? • მოსწავლეები პასუხს ადასტურებენ „დიახ“ ან „არა“ ბარათების გამოყენებით. • რატომ ფიქრობთ ასე? <p>მოსწავლეები ასაბუთებენ თავიანთ პასუხებს.</p> <ul style="list-style-type: none"> • სწორად ამოიცნო მეორემ ფიგურა? <p>მოსწავლეები პასუხს ადასტურებენ „დიახ“ ან „არა“ ბარათების გამოყენებით.</p> <ul style="list-style-type: none"> • რატომ ფიქრობთ ასე? <p>მოსწავლეები ასაბუთებენ თავიანთ პასუხებს. ასე მოხდება ოთხივე ფიგურის ამოცნობა.</p> <p>მასწავლებელი ახდენს იმ მოსწავლეთა შეფასებას, რომლებიც ჩაერთვნენ ამ აქტივობაში, შეფასების რუბრიკის მიხედვით.</p>	<p>დემონსტრირება; კითხვა-პასუხი</p>	<p>მთელი კლასი, ინდივიდუალური</p>	<p>გამოსაცხებელი ჩხირები, „დიახ“-„არა“ ბარათები, მუყაოს ყუთი – 4 ცალი, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების მუყაოს მოდელები, შეფასების რუბრიკა</p>	<p>3წთ</p>	<p>7 მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია. პრეზენტაციას თითოეულ დავალებაზე გააკეთებს ერთი ჯგუფი და სხვა ჯგუფები შეაქვს განსხვავებული მოსაზრებით. მასწავლებელი ახდენს მათ შეფასებას შეფასების რუბრიკის მიხედვით.</p>	<p>პრეზენტაცია</p>	<p>შეფასების რუბრიკა</p>	<p>4წთ</p>	
<p>4 წინარე ცოდნის გააქტიურება.</p> <p>მასწავლებელი მოსწავლეებს, PP საპრეზენტაციო მასალის გამოყენებით, ანახებს პლაკატს „მრავალკუთხედი“ და მოსწავლეებს დაუსვამს სხვადასხვა დონის და ტიპის შეკითხვებს (ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით).</p> <ul style="list-style-type: none"> • დაახასიათონ თითოეული ფიგურა (გვერდი, წვერო, კუთხე); • მიუთითონ მდებარეობა (მწვანე ოთხკუთხედის მარჯვნივ, ზემოთ...); • მოძებნონ მათში მსგავსება-განსხვავებები (მაგ., წრეები მსგავსია ფორმით, განსხვავებულია ფერით და ზომით). <p>მასწავლებელი ახდენს იმ მოსწავლეთა შეფასებას, რომლებიც ჩაერთვნენ ამ აქტივობაში, შეფასების რუბრიკის მიხედვით.</p>	<p>დემონსტრირება, კითხვა-პასუხი</p>	<p>მთელი კლასი, ინდივიდუალური</p>	<p>კომპიუტერი, პროექტორი, PP საპრეზენტაციო მასალა, შეფასების რუბრიკა</p>	<p>4წთ</p>	<p>8 ახალი მასალის უკეთ გაგება/გააზრება – გეომეტრიული ფიგურების სამუალებით ილუსტრაციის შექმნა და მათი განლაგება სიბრტყეზე მითითებული მდებარეობის შესაბამისად. მასწავლებელი მთელ კლასს უჩვენებს ილუსტრაციას და ეკითხება მოსწავლეებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფიგურებით აწყობილ სურათზე რომელ ზღაპრის გმირს ხედავთ? • რა ფიგურები ამოიცანით? • როგორ მიუთითებთ ფიგურათა მდებარეობას? <p>მასწავლებელი, ხარაჩოების მიწოდებით ან მიმანიშნებელი კითხვების საშუალებით, ჩამოაყალიბებინებს მოსწავლეს, რომ თურმე გეომეტრიული ფიგურებით, სხვადასხვა საგნების აწყობა შესაძლებელია. ამის შემდეგ, მასწავლებელი ისევ უბრუნდება ჯგუფურ მუშაობას, აძლევს მოსწავლეებს დავალებას და ინსტრუქციას თითოეულ ჯგუფს.</p> <p>ჯგუფებს – „პეპელა“ და „ია“ – მასწავლებელი აძლევს ცარიელ ფურცელს, ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილ გეომეტრიულ ფიგურებს, სურათს (რობოტი) და სთხოვს მათ, გეომეტრიული ფიგურებით სურათის მიხედვით ააგონ რობოტი, რომელსაც მარჯვნივ აქვს ბურთი.</p> <p>ჯგუფებს – „ძალი“ და „გოჭი“ – მასწავლებელი აძლევს ცარიელ ფურცელს, ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილ გეომეტრიულ ფიგურებს, სურათს (ტრაქტორი) და სთხოვს მათ, გეომეტრიული ფიგურებით, სურათის მიხედვით, ააგონ ტრაქტორი, რომელსაც წინ, ქვევით აქვს ბურთი.</p> <p>ჯგუფებს – „ნაძვი“ და „გირჩი“ მასწავლებელი აძლევს ცარიელ ფურცელს, ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილ გეომეტრიულ ფიგურებს და სთხოვს – ფიგურები დააღაგონ და დაანებონ ისე, რომ მიიღონ სახლი, რომლის მარჯვნივ ზედა კუთხესთან უნდა ანათებდეს მზე (სურათი თვითონვე უნდა წარმოიდგინონ და შექმნან ესკიზი). მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეთა მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში აძლევს მითითებებს და დაკვირვების ფურცელზე აკეთებს ჩანიშნებს.</p>	<p>ჯგუფური მუშაობა</p>	<p>5 ჯგუფი</p>	<p>დავალების ბარათები, ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილი ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები, კომპიუტერი, პროექტორი, PP პრეზენტაციის, შეფასების რუბრიკები</p>	<p>5წთ</p>
<p>5 სპორტული შესვენება.</p> <p>მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, რომ მასწავლებელთან ერთად შეასრულონ გამამხნეველი ვარჯიში და PP საპრეზენტაციო მასალის გამოყენებით აუღერებს ნაწყვეტს სიმღერის „მზიარულ მათემატიკას სწავლობს ბიჭი ჟოზე“; მოსწავლეები, მუსიკის ფონზე, ასრულებენ სპორტულ ვარჯიშს.</p>	<p>დემონსტრირება</p>	<p>მთელი კლასი</p>	<p>კომპიუტერი, პროექტორი, PP საპრეზენტაციო მასალა</p>	<p>15წთ</p>	<p>9 მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია</p> <p>პრეზენტაციას თითოეულ დავალებაზე გააკეთებს ერთი ჯგუფი და სხვა ჯგუფები შეაქვს განსხვავებული მოსაზრებით. მასწავლებელი მათ შეფასებას შეფასების რუბრიკის მიხედვით ახდენს.</p>	<p>პრეზენტაცია</p>	<p>აპლიკაციები, შეფასების რუბრიკები</p>	<p>3წთ</p>	
<p>6 ახალი მასალის კონსტრუირება – გეომეტრიული ფიგურების საყოფაცხოვრებო საგნებთან და ხელოვნების ნიმუშებთან დაკავშირება.</p> <p>მასწავლებელს შემოაქვს პლაკატი „მათემატიკა ჩვენ გარშემო“ და მთელ კლასს უსვამს შეკითხვას:</p>  <ul style="list-style-type: none"> • რა მსგავსებას ამჩნევთ პლაკატზე ნაჩვენებ გეომეტრიულ ფიგურებსა და საყოფაცხოვრებო საგნებს შორის? <p>პასუხების მოსმენის შემდეგ მოსწავლეთა ყურადღება გადააქვს საკლასო ოთახზე და სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ და ამოიცნონ, რომელი საგანი რომელ ფიგურას შეესაბამება. შემდეგ მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს დავალებებს:</p> <p>ჯგუფებს – „პეპელა“ და „ია“ ეძლევა ცხრილი, რომლის პირველ სვეტში ჩანებულია გეომეტრიული ფიგურები, მეორე სვეტში კი – სხვადასხვა საგნები. მოსწავლეებმა თითოეული ფიგურა ხაზით უნდა შეაერთონ მსგავს საგანთან.</p>	<p>კონსტრუქცივიზმი</p>	<p>6 ჯგუფი</p>	<p>პლაკატი, ნებო 6 ცალი, დავალების ბარათები, ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილი გეომეტრიული ფიგურები, საყოფაცხოვრებო საგნების და ტაძრის მოდელები</p>	<p>45წთ</p>	<p>10 შეფასება: მასწავლებელი კლასს/მოსწავლეს განმავითარებელ შეფასებას მისცემს, ეტაპობრივად, ყველა ძირითადი აქტივობის შემდეგ. გაკვეთილის შეჯამების შემდეგ, მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად აფასებენ გაკვეთილს.</p> <ul style="list-style-type: none"> • რა გავაკეთეთ, როგორ გავაკეთეთ? • რა იყო ყველაზე საინტერესო თქვენთვის? • რა გსურთ ამ თემაზე კიდევ რომ გავაკეთოთ? 	<p>ასსნა-განმარტება</p>	<p>მთელი კლასი</p>	<p>შეფასების რუბრიკები</p>	<p>6წთ</p>
<p>11 გასასვლელი ბარათები</p> <p>იმის დასადგენად, თუ როგორ აითვისეს მოსწავლეებმა ახალი მასალა, მასწავლებელი მათ ინდივიდუალურად ურიგებს გასასვლელ ბარათებს, რომელზეც გამოსახულია ბრტყელი გეომეტრიული ფიგურებისგან შექმნილი ძაღლის სურათი. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ რამდენია სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ხუთკუთხედი, წრე. მათი რაოდენობა ჩაწერონ შესაბამის ცარიელ უჯრებში და მწვანედ გააფერადონ ხუთკუთხედი.</p> 					<p>ბარათების გამოყენების მეთოდი</p>	<p>მთელი კლასი/ინდივიდუალური</p>	<p>დავალების ბარათები</p>	<p>1წთ</p>	

მანანა წულაია

სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის მათემატიკის ნაწყვენი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
 1. http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlvi%20meore%20nawili.pdf
 2. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16926>
 3. <http://matsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/lobjanidze.pdf>

კვლევა და ანგარიშები

სპორტული ღონისძიებები მუსიკის თანხლებით

„სპორტი გულისხმობს თავისუფალი ან ორგანიზებული სახით ფიზიკური საქმიანობის ყველა ფორმას, რომლის მიზანია ფიზიკური, გონებრივი სამოქალაქო და სოციალური შესაძლებლობების გაუმჯობესება.“ – ვეროპის სპორტის ქარტია

ჩემს სტატიას დავენიშებ ერთი ამბით: კოპენჰაგენში ჩატარდა სპორტული მარათონი. სპორტსმენებს უნდა დაეძლიათ 13-კილომეტრიანი დისტანცია. თუკი სხვები გამარჯვებისთვის ირჯებოდნენ, ერთმა მონაწილემ სცადა გარბენი სიამოვნებად ექცია საკუთარი თავისა და გარშემო მყოფთათვის – მან სხვებივით აიღო სტარტი, მაგრამ სირბილთან ერთად, იმავდროულად, გიტარაზეც უკრავდა და მღეროდა. მორბენალ-მუსიკოსს პირველი ადგილი წილად არ ხვდა, მაგრამ მაყურებელთა აპლოდისმენტები უხვად დაიმსახურა. მუსიკამ არა მარტო ტრიბუნები გამოაცოცხლა, თვით სპორტსმენებსაც დამატებითი ძალები შთაბერა, სირბილი გაუადვილა და მარათონმა უფრო მხიარულად და ხალისიანად ჩაიარა.

სპორტი და ფიზიკური განათლება აუცილებელი პირობაა პიროვნების ჰარმონიული განვითარებისთვის, რაც დაწყებითი და საბაზო განათლების ძირითად მიზანს წარმოადგენს. მიზანდარსებითი კლასებიდან უნდა ჩაუენერგოს ფიზიკური აქტივობის აუცილებლობის შეგნება. მან უნდა გააცნობიეროს, რომ ჯანმრთელობა ნიშნავს არა რომელიმე დაავადების არქონას, არამედ ამ დაავადების თავიდან აცილებას, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით არის შესაძლებელი. მას უნდა ესმოდეს, რომ ფიზიკური აქტივობა სიცოცხლის გახანგრძლივების, სოციალური და მატერიალური კეთილდღეობის საწინდარია.

მოსწავლეებს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სპორტული აქტივობების დროს, რადგან მათ დამოუკიდებლად უნდა შეეძინებინათ დროს წამოჭრილი სიტუაციური პრობლემების გადაჭრა, მყისიერი გადაწყვეტილებების მიღება და სოციალური ინტერაქციის დამყარება თანაგუნდელებთან. სპორტული სახეობების მრავალფეროვნება ვაჟებს და გოგონებს თანაბრად აძლევს საშუალებას, გამოავლინონ და განავითარონ თავიანთი ფიზიკური უნარები. სკოლაში შეძენილი ჯანსაღი ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები მოსწავლეებს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ, რაც მყარი საფუძველია იმისა, რომ ისინი გახდნენ აქტიური და შრომისუნარიანი მოქალაქეები. ჯანმრთელი და შრომისუნარიანი მოსახლეობა კი პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის თავდაცვის უნარზე, ეკონომიკასა და კეთილდღეობაზე.

სკოლაში, სპორტის გაკვეთილების გარდა, ხშირად უნდა ჩატარდეს სპორტული ღონისძიებები. სპორტული ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეების ფსიქოფიზიკურ განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის, როგორც ფასეულობის, განმტკიცებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ესენია: სამართლიანი თამაში, გუნდური სულისკვეთება, ინდივიდუალური და გუნდური თვითგამოხატვა, ურთიერთდახმარება, შინაგანი დისციპლინა, ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა, პასუხისმგებლობის განაწილება და ლიდერობა, არაძალადობრივი ურთიერთქმედება, კოლეგიალობა, ურთიერთგაგება. ყოველივე ეს კი, ხელს უწყობს მოსწავლეში ესგ-ს ცხრა გამჭოლი კომპეტენციიდან ერთ-ერთის – სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციის განვითარებას. სპორტული შეჯიბრების დროს მოსწავლეებს უფრო მეტად უნდა გაუფრთხილონ თავი, გააძლიერონ მყისიერად მიღების, სხვისი (ბიჭებში – გოგონების) უფლებების და თანასწორობის პატივისცემის, კლასის შშმ მოსწავლისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების, დემოკრატიული პრინციპების აღიარების უნარ-ჩვევები.

- განათლების დაწყებით საფეხურზე, სპორტის სწავლების მიზანია:
 - ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით შეუწყოს ხელი მის ფიზიკურ განვითარებას;
 - გააცნობიერებინოს მას ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობა;
 - გამოუმუშაოს ისეთი სამოქალაქო უნარ-ჩვევები, როგორებიცაა: დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, პასუხისმგებლობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა, შემწყნარებლობა და სხვ.

დაწყებით კლასებში შემოქმედებითი და ფიზიკური აქტივობის განვითარება მოსწავლეებში წარმოუდგენელია, თუ სწავლების პროცესს აკლია ემოციურობა. ამიტომ, უპირატესობა თამაშობებსა და ჯგუფებს შორის შეჯიბრებებს უნდა მიეცეს. ხალისიანი შეჯიბრება, თუნდაც მარტივი წახალისების თანხლებით, კარგი სტიმულია ყველა მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასაბმელად. მოსწავლეებთან მუშაობა მიმართული უნდა იყოს მათი ფიზიკური მარჯვნივებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ. სპორტული აქტივობა და შეჯიბრებებში მონაწილეობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ნებისყოფის განმტკიცებას, მიზანსწრაფულობას, სამართლიანობის გრძნობის გამოუმუშავებას, ჯგუფში და კოლექტივში ადაპტირებას და ა.შ.

ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად, იმისათვის რომ მოსწავლეებმა სახალისო გახადოს სპორტული შეჯიბრება და აუმაღლოს მოსწავლეებს მოტივაცია, შეუქმნას კარგი გუნდო-განწყობა, უნდა ჩატარდეს შეჯიბრება მუსიკის თანხლებით. მუსიკის გამოყენებას ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი აძლევს ემოციურობას, ყურადღებას, აღქმას და მეხსიერებას, აწვითარებს შრომისუნარიანობას. მუსიკის თანხლებით სპორტული შეჯიბრება აყალიბებს დროის, სივრცის და დინამიკური პარამეტრების დიფერენცირებას. რიტმის განმარტება წარმოადგენს ფიზიკური ვარჯიშების და სხვა მოძრაობითი ხარისხის განვითარების ბაზას. მუსიკალური თანხლება მასწავლებელს უშუალოდ უწყობს შრომას, ათავისუფლებს მას აუცილებელი თვისებების, მოსწავლეები თავიანთ მოქმედებებს მუსიკის ხასიათს უმორჩილებენ.

მოდრაობა მუსიკის თანხლებით არა მარტო უწყობს კორექციულ და ფიზიკურ განვითარებაზე, არამედ ქმნის კეთილსაზურველ გარემოს ისეთი ფსიქიკური ფუნქციებისათვის, როგორცაა აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება, აქცეა. დინამიურობის მრავალფეროვნება, მუსიკის მაორგანიზებელი დასაწყისი, მისი რიტმული სტრუქტურა, ტემპის მრავალგვარი ცვლილება ინვესს ყურადღების მუდმივ კონცენტრაციას, ვარჯიშის შესრულების პირობებს და მახსოვრობას, მუსიკალური ფრაზების შეცვლაზე სწრაფ რეაქციას. მუსიკის თანხლებით ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები უფრო სახალისო და მოტივაციის მიმცემია მოსწავლეებისათვის, რომ ჰქონდეთ კარგი მაჩვენებლები. სწორედ ამიტომ, ყოველთვის ვიყენებ მუსიკალური თანხლებას როგორც ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე, ასევე სპორტულ შეჯიბრებებში.

პროცესის მოკლე აღწერა:
იმისათვის, რომ გავაცნოთ, როგორ ვუთავსებ ერთმანეთს მუსიკასა და სპორტს, წარმოგიდგინებ ერთ-ერთ სპორტულ ღონისძიებას, შეჯიბრება-გაკვეთილს, რომელშიც გაერთიანებული იყო სპორტი და მუსიკა. ეს იყო შემაჯამებელი გაკვეთილი-შეჯიბრება, რომელშიც ბავშვები დაყოფილი იყვნენ ორ გუნდად და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „მხიარულ სტარტებში“.

- 1. კლასი დაეყავი ჯგუფებად, სულ – 4 ჯგუფი. თითოეული ჯგუფი დავაკომპლექტე სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისგან, რომ ყოფილიყო მაქსიმალური ჩართულობა;
- 2. ჯგუფებს უნდა შეერჩიათ მოძრაობა თამაშები გაკვეთილისთვის და მუსიკა – ყოველი თამაშისთვის; თითოეულ ჯგუფს – ორი თამაში მუსიკის თანხლებით;
- 3. ასევე თითოეულ ჯგუფს უნდა მოემზადებინა ინვენტარი თავისი მომზადებული შეჯიბრებისათვის;
- 4. მოძრაობა თამაშები მუსიკის თანხლებით;
- 5. გუნდების შეჯიბრება „მხიარულ სტარტებში“;
- 6. კაპიტნების შეჯიბრება;
- 7. გამარჯვებულის დაჯილდოება;
- 8. შეფასება, შეჯამება.

ჟიური შეჯიბრებას ქულების სისტემით აფასებდა, ასევე, მოსწავლეები ფასდებოდნენ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც შევადგინე – ესგ სპორტი III-IV კლასების-ის 2018-2024წწ. წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

ფ.ა.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობისათვის აუცილებელი საბაზისო მოძრაობითი უნარ-ჩვევების წარმოჩენა.

ფ.ა.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს მონაწილეობის მიღება ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გაკავებისათვის აუცილებელი ელემენტარულ ფიზიკურ აქტივობებში.

ფ.ა.1.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების გამოვლენა ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის საფუძველზე.

ფ.ა.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ფიზიკური აქტივობის დაკავშირება სხეულის მდგომარეობასთან.

კრიტერიუმები	წარმატებით	კარგად	საშუალოდ	უსუსტად
ფიზიკური აქტივობისას ერთმანეთს უხამებს სხვადასხვა მოძრაობას, ცვლის სიჩქარესა და მიმართულებას.				
მოძრაობს სხვადასხვა მიმართულებით, გვერდს უვლის დაბრკოლებებს, ხელიდან უსხლტდება მონიშნულმდეგებს.				
გადაადგილდება ბურთთან ერთად და ასრულებს მოძრაობებს.				
აქტიურად მონაწილეობს ჯგუფურ თამაშებში. თამაშისას იცავს დადგენილ წესებს.				
ითვალისწინებს თანაგუნდელის ინტერესებს.				
ამყვანებს ტოლერანტულ დამოკიდებულებას განსაკუთრებული საჭიროების მქონე თანატოლისადმი.				
პატივს სცემს, როგორც საკუთარი, ასევე მონიშნულმდეგ გუნდის მოთამაშებს.				
მოძრაობის, თამაშის, საშუალებით გამოხატავს ამა თუ იმ განწყობილებას.				
სხეულის მოძრაობით გადმოსცემს მუსიკით გამოწვეულ ემოციას. მოძრაობს მუსიკის რიტმში.				

- შეჯიბრების მსვლელობა:**
- გუნდების მოწყობა, სახელების შერჩევა.** მოსწავლეები შემოვიდნენ დარბაზში შტრაუსის „კადეტსკი მარშის“ მუსიკის თანხლებით, რიტმული ნაბიჯებით. გაიყვნენ ორ გუნდად და სახელები შეურჩიეს გუნდებს – „გვირილები“ და „ყაყაჩოები“.
 - ჟიურის არჩევა, მისაღება.** მასწავლებელმა წარუდგინა მოსწავლეებს ჟიურის შემადგენლობა: სკოლის დირექტორი, სკოლის ადმინისტრატორი, დაწესებითი კლასების მასწავლებლები, სულ – 5 წევრი.
 - საქართველოს ჰიმნის მოსმენა და შესრულება.** მოსწავლეებმა შეასრულეს საქართველოს ჰიმნი. გუნდების კაპიტნები მიესალმნენ და გადასცეს ერთმანეთს სამახსოვრო სუვენირები.
 - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანატოლის – თანაკლასელის წარდგენა-გაცნობა.** მასწავლებელმა წარუდგინა სტუმრებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე და განაცხადა, რომ ისიც მიიღებს მონაწილეობას რამდენიმე თამაშში.
 - შეჯიბრების თამაშის წესების გაცნობა.** ჟიურის თავმჯდომარე მიესალმა მოსწავლეებს, გააცნო შეჯიბრების პირობები, ქულათა სისტემა და წარმატება უსურვა ორივე გუნდს.
 - მოძრაობა თამაშები.** გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შემდეგ მოძრაობა თამაშებში: 1. „მოვიპოვოთ ალამი“; 2. „ჭაობის გადალახვა“; 3. „კეგლი-ზუსტად მიზანში“; 4. „როგორღობით იხვის საბუდარის დამზადება“; 5. „ტომრებით ხტუნაობა“; 6. „პარაშუტით გადახტომა“; 7. „სატან-ვარჯიშო სკამის ცოცვით გადალახვა“; 8. „გვირაბში გაძრომა“. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თამაშებიც და მუსიკაც თამაშებისათვის შეარჩიეს მოსწავლეებმა.
 - ყოველი თამაშის წინ მოსწავლეებს ვაცნობდი თამაშის წესებს და შეფასების ქულებს. თამაშები მიმდინარეობდა ემოციურად, მუსიკის თანხლებით. მუსიკამ აუმაღლა მოსწავლეებს მოტივაცია, გაახალისა, ვერ გრძნობდნენ დაღლას, შესანიშნავ რიტმის გრძნობას ავლენდნენ. რამდენიმე თამაშში შშმ მოსწავლეც მონაწილეობდა.**
 - კაპიტნების შეჯიბრება.** გუნდების კაპიტნები შეეჯიბრნენ ერთმანეთს მხიარულ თამაშებში: ვინ უფრო სწრაფად გაბერავს ბუმბუს; ვინ ამოიღებს ფეკლიან თევზში დამალულ კანფეტს სახის დაუსვრელად; საკუთარი გუნდის წევრების თვალახვეული გამოცნობა. თამაშები მიმდინარეობდა მუსიკის თანხლებით. ამ აქტივობამ განსაკუთრებით აუმაღლა პასუხისმგებლობის გრძნობა გუნდის კაპიტნებს.
 - ჟიურის მიერ შედეგების გაცნობა.** ჟიურის თავმჯდომარემ მონაწილეებს შეჯიბრების შედეგები გააცნო და გამარჯვებული გამოავლინა.
 - თასისა და დროშის გადაცემა.** ჟიურის თავმჯდომარემ ორივე გუნდი დააჯილდოვა და მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს.
 - სამახსოვრო სურათების გადაღება.** მოსწავლეებმა, მასწავლებელმა და ჟიურის წევრებმა სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

შედეგი/დასკვნა:
სპორტულმა ღონისძიებამ ხელი შეუწყო მოსწავლეების ფსიქოფიზიკურ განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის, როგორც ფასეულობის, განმტკიცებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას; მათ ისწავლეს სამართლიანი თამაში, გუნდური სულისკვეთება, ინდივიდუალური და გუნდური თვითგამოხატვა, ურთიერთდახმარება, შინაგანი დისციპლინა, ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა, პასუხისმგებლობის განაწილება და ლიდერობა, არაძალადობრივი ურთიერთქმედება, კოლეგიალობა; სპორტული შეჯიბრების დროს მათ განუვითარდათ გუნდურობის, გადაწყვეტილების მყისიერად მიღების, სხვისი (ბიჭებში – გოგონების) უფლებების და თანასწორობის პატივისცემის, კლასის შშმ მოსწავლისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების, დემოკრატიული პრინციპების აღიარების უნარ-ჩვევები.
ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ მოსწავლე ყველაზე უკეთ მამინ სწავლობს, როცა იგი აქტიური და ქმედითია, და არა მამინ, როცა აქტიურ და ქმედით მასწავლებელს უყურებს. მსგავსი ღონისძიების ჩატარებით შესაძლებელი იქნება, კლასის ყველა მოსწავლე ჩართოს მუშაობაში, შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება და შესაძლებლობების გამოუმყვანება. ამრიგად მიზანი მიღწეულია, დარწმუნებული ვარ, ბავშვებს არ დაავიწყდებათ ეს შეჯიბრება. მოსწავლეების გუნდური ჩართვა ფიზიკურ აქტივობებში ხელს უწყობს ბავშვების ფიზიკურ განვითარებას; ეხმარება ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერებაში; უშუალოდ უწყობს მათ სამოქალაქო უნარ-ჩვევებს, როგორებიცაა: გუნდურობა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, პასუხისმგებლობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა და სხვ.

მზია სალაქი
სიბ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი

როგორ გამოვიყენოთ მოსწავლეთა მათემატიკური განათლება ქიმიაში

გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკის მიმართულების მქონე საჯარო სკოლებში შესამჩნევად შემცირებულია ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ, განსაკუთრებით კი ქიმიის მიმართ. ეს, გარკვეულწილად, ნეგატიური მოვლენაა, რადგან ეს ფაქტი ნიჭიერი ბავშვების ზოგად განათლებაში წარმოქმნის გარკვეულ ხარვეზს – მათ უჭირთ ქიმიის ამოცანების ამოხსნა, მარტივი განტოლების შედგენა, რადგან ვერ იგებენ ამოცანის პირობას, არ ესმით საკითხის ქიმიური და, შესაბამისად, ვერ შეადგენენ ქიმიურ განტოლებას. ვფიქრობ ამ ხარვეზის აღმოფხვრა შესაძლებელია, ერთი მხრივ, სააკადემიო პროცესში ექსპერიმენტული ნაწილის გაძლიერებით და, მეორე მხრივ, მათი ჩართვით სამეცნიერო კვლევებში. მინდა გაგიზიაროთ ამ კუთხით ჩემი გამოცდილება.

2017 წელს ჩვენ მოვივეთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი „ლისის ტბის ჰიდრობიოქიმიური მდგომარეობის შეფასება“, რომლის შესრულებაც გულისხმობდა როგორც საველე-ექსპედიციური სამუშაოების შესრულებას, ასევე მონაცემთა დამუშავებას და მათი სანდოობის შეფასებას. სწორედ ამ კუთხით გამოგვადგა ჩვენი სკოლის მოსწავლეების მათემატიკის საფუძვლების კარგი ცოდნა. სამუშაოს შესრულებაში ჩართული იყო მერვე და მეცხრე კლასების 13 მოსწავლე. მათ ადვილად გაართვეს თავი ქიმიური ანალიზის შედეგების მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა წყლის ზედაპირზე გავრცელების საინტერპოლაციო მეთოდებს. ქვემოთ წარმოგიდგენთ მიღებულ შედეგებს.

მონაცემთა სტატისტიკური დასახარება და ინტერპოლაცია

ქიმიური ანალიზის შედეგების სანდოობის გაზრდის მიზნით, გამოყენებულია მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების მეთოდი, ხოლო დამაბინძურებელ ნივთიერებათა წყლის ზედაპირზე გავრცელების სურათი მიღებულია საინტერპოლაციო მეთოდით[5], მონაცემთა ბაზად გამოყენებულია მოსწავლეთა მიერ გრანტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები და გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემები.

ტრენდის განტოლება. ტრენდის ნრფივ განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$Y = A + B \cdot x \cdot T$$

სადაც T დამოუკიდებელი ცვლადია, Y – დამოკიდებული ცვლადი; A და B – მუდმივი კოეფიციენტები, რომლებიც განისაზღვრებიან შემდეგ განტოლებათა სისტემის ამოხსნით:


$$A \cdot \sum X + B \cdot \sum X \cdot T = \sum Y$$

$$A \cdot \sum T + B \cdot \sum T^2 = \sum (Y \cdot T)$$


სადაც N ნეერების რაოდენობაა Y და T მწკრივებში, აჯამება ხდება 1-დან N-მდე. ამოხსნას აქვს შემდეგი სახე:

$$A = \frac{\Delta_1}{\Delta} \quad B = \frac{\Delta_2}{\Delta} \quad \Delta = \begin{vmatrix} N & \sum T \\ \sum T & \sum T^2 \end{vmatrix} \quad \Delta_1 = \begin{vmatrix} \sum Y & \sum T \\ \sum Y \cdot T & \sum T^2 \end{vmatrix} \quad \Delta_2 = \begin{vmatrix} N & \sum Y \\ \sum T & \sum Y \cdot T \end{vmatrix}$$

ქიმიური ინგრედიენტების კონცენტრაციების ცვლილებები და ტრენდები 2017 წლის მაისი-სექტემბრის განმავლობაში, გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით, გამოთვლილია EXCEL-ის სტანდარტული პროგრამის საშუალებით. მიღებული შედეგების ნაწილი წარმოდგენილია ნახ.1 და 2-ზე.



ნახ. 1. გახსნილი ფანგბადის კონცენტრაცია (1) და ნრფივი ტრენდი (2)



ნახ. 2. ნიტრიტის კონცენტრაცია (1) და ნრფივი ტრენდი (2)

დაპირვების მონაცემთა ინტერპოლაცია

ქიმიური ელემენტების კონცენტრაციების მნიშვნელობა ლისის ტბის ნებისმიერ l ნერტილში F_l კოორდინატებში (X₁, Y₁) განისაზღვრა შემდეგი სააპროქსიმაციო ფორმულით:

$$F_l = \left(\frac{F_1}{D_1} + \frac{F_2}{D_2} + \frac{F_3}{D_3} + \dots + \frac{F_M}{D_M} \right) / \left(\frac{1}{D_1} + \frac{1}{D_2} + \frac{1}{D_3} + \dots + \frac{1}{D_M} \right)$$

ინფორმაცია


თსუ-ს 101 წლის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებები გაიხსნა

სამეცნიერო სემინარით „როგორ შეიძლება ძველი ქალაქი ჭკვიან ქალაქად იქცეს?“ გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების და 101 წლის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებები. ღონისძიებას თსუ-ს რექტორი გიორგი შარვაშიძე, იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანტონიო ბარტოლი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, თბილისის მერიის წარმომადგენლები, ქართველი და იტალიელი მეცნიერები, სტუდენტები, მონაწილეობა სტუმრები დაესწრნენ. „მნიშვნელოვანი კონფერენციაა, რომელიც ეძღვნება კულტურისა და ინდუსტრიის შერწყმას ქალაქებში. როგორ გვაკეთოთ ისე, რომ ტექნოლოგიური გავლენა მინიმალური იყოს იყოს ისტორიული ლანდშაფტებისა და რელიეფზე; როგორ უნდა დაეხმაროს მეცნიერება ამ კუთხით ტურიზმის განვითარებას; როგორ შეიძლება გამოყენება იმ სიმდიდრისა, რაც გვაქვს ამ ქალაქში და როგორ გავაუმჯობესოთ ინფრასტრუქტურა სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით.“ – აცხადებს თსუ-ს რექტორი გიორგი შარვაშიძე. იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ანტონიო ბარტოლის მიანჩინა, რომ „კულტურული მემკვიდრეობა, მისი


წარმოიქმნა და დაცვა როგორც იტალიაში, ასევე საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია. ეს საჭიროა ტურიზმის განვითარებისთვისაც. პრეზენტაციებზე საუბარია თუ როგორ შეიძლება, მობილური ტელეფონების თუ სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, გაიგო ინფორმაცია კულტურის ძეგლის შესახებ; საინტერესოა განათების მეშვეობით კულტურისა და ისტორიული ძეგლების სხვადასხვანაირად წარმოჩენის თემაც.“ სემინარის მიზანი იყო ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით კულტურული ტურიზმის განვითარება, ისტორიული ქალაქების რეკონსტრუქცია, ისტორიული ურბანული ლანდშაფტის მართვა, ძველი ისტორიული ქალაქების თანამედროვე ქალაქად წარმოქმნა და სხვადასხვა დარგის ქართველ და იტალიელ მეცნიერებს შორის გამოცდილების გაზიარება. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: თსუ, საქართველოში იტალიის საელჩო და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭო. „მინდა, ხაზი გავუსვა იტალიასთან იმ უნიკალურ თანამშრომლობას, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ჩამოყალიბდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით, იტალიის საელჩოს ხელშეწყობით. დღევანდელი დღე ნაწილია იმ სემინარების სერიიდან, რომელიც ეძღვნება იტალიის კულტურული მემკვიდრეობის გამოცდილების გაზიარებას. თუკი რომელიმე სახელმწიფოსგან შეგვიძლია ვისწავლოთ, თუ როგორ დავიცვათ კულტურული მემკვიდრეობა და, პირა-

ლელურად, უზრუნველყოთ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, იტალიაა ის ქვეყანა, რომელსაც საუკეთესო პარტნიორთა სიაში მოვიზარებთ. იტალია არის იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე ვრცელი ჩამონათვალის სამშობლო და ქვეყანა, რომელმაც შეძლო, ტურიზმის განვითარების პარალელურად, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია და დაცვა,“ – განაცხადა მარიამ ჯაშიამ. კომიტეტის თავმჯდომარემ, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვისა და მათ შესახებ ტურისტებისთვის უტყუარი ისტორიული ცნობების მიწოდებასთან დაკავშირებით, კომიტეტის ინიციატივაზეც ისაუბრა: „ისტორიკოსებთან ერთად მუშაობა ახალი ინიციატივაა, რაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ორენოვან საინფორმაციო და საინოვაციო დაფების სავალდებულო განთავსებას გულისხმობს. აღნიშნული ინიციატივა დაიცავს ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ არაზუსტი ინფორმაციის მიღებისგან“. მარიამ ჯაშიამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, აკადემიურ პერსონალსა და თანამშრომლებს მიულოცა 101 წლის იუბილე და საზოგადოებრივი ცხოვრების გზაზე უნივერსიტეტის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა.


სადაც F₁, F₂, F₃, ..., F_M არის F სიდიდის მნიშვნელობები გაზომვის m = 1, 2, 3, ..., M ნერტილში, D_m = SQRT ((X_m X₁)² + (Y_m Y₁)²) არის მანძილი l ნერტილიდან m ნერტილამდე. აღნიშნული ფორმულა დაპროგრამებულ იქნა „VIZUAL FORTRAN“ კომპიუტერულ ენაზე. გამოთვლის შედეგების ვიზუალიზაცია განხორციელდა „Surfer 8“-ის საშუალებით. მაგალითის სახით, ქვემოთ წარმოდგენილია ზოგიერთი ქიმიური ინგრედიენტის კონცენტრაციების განაწილება ლისის ტბის ზედაპირულ ფენაში, რომელიც მიღებულია მონაცემთა ინტერპოლაციით (ნახ.3, 4, 5).



ნახ.3. გახსნილი ფანგბადის (მგ/ლ) განაწილება ლისის ტბის წყლებში(29.11.2017)



ნახ.4. უბმე-ის (მგ/ლ) განაწილება (29.11.2017)



ნახ.5. ამონიუმის (მგ/ლ) განაწილება (29.11.2017)

ჩატარებული კვლევითი სამუშაო ითვალისწინებდა როგორც მოსწავლეების საბუნებისმეტყველო საგნებში თეორიული ცოდნის გაღრმავებას, პრაქტიკული ჩვენების ჩამოყალიბებას საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების საფუძველზე, ასევე საგანთმორიხი კავშირის გაღრმავებას. მიმანჩინა, რომ დასახული ამოცანა შესრულებულია, რის უფლებასაც მაძლევს მიღებული შედეგები:

- დაზუსტდა საკვლევი ობიექტის (ლისის ტბის) დამაჭუჭყიანებელ ინგრედიენტთა ნუსხა;
- საკვლევი პერიოდში შეფასდა ლისის ტბის წყლის ხარისხი;
- განისაზღვრა ანთროპოგენული დატვირთვის გავლენა ლისის ტბის წყლის ქიმიზმზე;
- შემუშავდა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები ლისის ტბის წყლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- რაც მთავარია, მოსწავლეებმა აითვისეს მეცნიერული დაკვირვების, ექსპერიმენტის, ანალიზის პრინციპები. გაულრმავდათ ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნებისადმი, ჩამოუყალიბდათ მსოფლმხედველობა – გაუფრთხილდნენ გარემოს და დაცვან იგი.

ლიანა ინჰაპირველი
ვლ. კომაროვის თბილისის 199-ე საჯარო სკოლის
ქიმიის-ბუნებისმეტყველების წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. გ. სუპატაშვილი – გარემოს ქიმიის (ეკოქიმიის), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2015;
2. Руквоство по методам гидробиологического анализа поверхностных вод и донных отложений. – Гидрометеоииздат, Ленинград, 1983;
3. ლიტერატურული საერთაშორისო ISO სტანდარტები QA/QC (ხარისხის შეფასება/ხარისხის კონტროლი) [ISO 17025];
4. გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი – nea.gov.ge;
5. ე. ყუბანეიშვილი – მონაცემების სტატისტიკური დამუშავება STATISTICA სისტემის ბაზაზე. სტუ გამომცემლობა, თბილისი, 2015.

მომავალთა კრება

რა უნარების განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს აღზრდა

თანამედროვე შექცევის, კითხვისა და წერის ათვისებასთან, ართიმეტრიკული და მეცნიერული საკითხების გადაჭრასთან, ისტორიული მოვლენების ცოდნასთან, აზროვნებითი და მსჯელობის უნარების განვითარებასთან ერთად, ბავშვებმა უნდა ისწავლონ ის ძირითადი ღირებულებები, რომელიც ფასეულია ოჯახსა და ზოგადად საზოგადოებაში. ამაზე პასუხისმგებელი არიან როგორც მშობლები, ისე სკოლა და საგანმანათლებლო სისტემა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ ბავშვები იყვნენ გამჭრიახები და ამავდროულად კეთილსინდისიერები, საკუთარი პრინციპების დამცველნი, სხვებზე მზრუნველნი, მორალური სტანდარტების მიხედვით მოქმედნი და საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებელნი.

„ცოდნა არ არის საკმარისი. ცოდნას დამატებული პიროვნება, ეს არის ნამდვილი განათლების მიზანი“.

მარტინ ლუთერ კინგი

კონკრეტულად რომელ უნარებსა და მახასიათებლებსა უნდა ვამზადებდეთ ჩემს შვილს?

ემათია – თანაგანცდა

ემპათია, ანუ თანაგანცდა გულისხმობს სხვა ადამიანების ემოციის, გრძობების ამოცნობას და მისი გათვალისწინებით მოქმედებას. სწორედ აღნიშნული უნარი გვეხმარება ვიზრუნოთ სხვებზე; ვიყოთ შემწყნარებელი სხვადასხვა რწმენისა და შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ; საშუალებას გვაძლევს გავიგოთ სხვისი წუხილი, მათ შორის უცხო ადამიანების და გავიზიაროთ, ვიგრძნოთ მათი დარდი, ისე როგორც საკუთარი; სწორედ აღნიშნული უნარის საშუალებით განვიცდით სიხარულს, ბედნიერებას სხვისი წარმატების გამო და არა სიბრაზესა და იმედგაცრუებას. ემათიის ნიშნები ადრეულ ასაკშივე ვლინდება: ჩვილები იწყებენ ტირილს სხვა ბავშვის ტირილის საპასუხოდ და პირიქით სიცილს პასუხობენ სიცილით. უფრო დიდი ასაკის ბავშვები ცდილობენ ჩაეხუტონ, მოეფერონ ახლობელ ადამიანს, თუ ის მოწყვნილია. თანაგანცდის უნარის განვითარება ბავშვების ქცევას დადებითი კუთხით ცვლის – ისინი იგებენ, რომ არასწორი ან დაუფიქრებელი ქმედებით შეიძლება სხვას ტკივილი მიავყენონ, ამიტომ მეტი პასუხისმგებლობით იქცევიან. შეუცვლელია მშობლების როლი თანაგანცდის უნარის ჩამოყალიბებაში. ისინი უნდა დაეხმარონ ბავშვს, გააცნობიერონ სხვა ადამიანების ემოციები, უჩვენონ მათ სწორი მაგალითი.

რისი გაკეთება შეუძლია მშობელს?

- თუ ხედავთ, რომ თქვენმა შვილმა დაარტყა თანატოლს, უთხარით: „როგორ ფიქრობ, რას გრძნობს ახლა ლიზი? ის ურევდებო შენც იგივე გეგრძნობო?“.
- ტელევიზორის ყურებისას, ნიგნის კითხვისას სცადეთ ისაუბროთ სხვა ადამიანის, პერსონაჟის პოზიციიდან. მაგალითად: „როგორ ფიქრობ, რას გრძნობს უფლისწული ახლა?“
- აჩვენეთ სხვებზე ზრუნვის მაგალითი: როგორ ეხმარებით მოხუც მეზობელს, უღებთ კარებს, უთმობთ ადგილს სხვა ადამიანებს;
- იმსჯელეთ სხვადასხვა შემთხვევებზე. მაგალითად, თუ ბავშვი ჩივის, რომ თანატოლი დაეჯახა და ნააქცია, როდესაც სასადილოში გარბოდნენ, შეგიძლიათ უთხარათ: „სიჩქარის დროს ზოგჯერ ადამიანები ვერ აკვირდებიან, რას აკეთებენ – შესაძლოა საერთოდაც არ უნდოდან შენი ნაქცევა და ტკივილის მოყენება, შენ რას ფიქრობ?“.
- დაეხმარეთ მიიღოს და აღიაროს ადამიანის განსხვავებულობა. მაგალითად, თუ ბავშვი იცინის მეზობელი გოგონას კაბაზე, უთხარით: „ადამიანებს სხვადასხვა რამეები მოსწონთ. ნორმალურია, რომ შეიძლება არ მოგწონდეს ის, რაც სხვა ბავშვს მოსწონს. შეიძლება ამ გოგონას შენი ქურთუკი არ მოეწონოს, გიფიქრია ამაზე?! წარმოიდგინე, რომ ყველა შენს მეგობარს ერთნაირი ტანსაცმელი ეცვას. რა მოსაწყენი იქნებოდა, არა? ჩვენ, ადამიანები, ერთმანეთისგან განსხვავდებით და ეს ძალიან კარგია.“

კონკრეტული მაგალითი:
 – მამიკო, რატომ ტირის ბაბუა?
 – ის ძალიან მოწყვნილია, ახლახან გაიგო, რომ მისი ახლო მეგობარი გარდაიცვალა. გახსოვს, რას გრძნობდი, როდესაც შენი საყვარელი ძაღლი დაიღუპა?
 – კი, ძალიან მარტოსულად ვგრძნობდი თავს.
 – ჰო, წარმოიდგინე, როგორ ცუდად შეიძლება იყოს ახლა ბაბუა. შეგიძლია რაიმე მოიფიქრო მის დასახმარებლად?
 – მივალ და ჩავეხუტები.
 – ფანტასტიკური იდეაა, ყოჩაღ!“

პატიოსნება და სამართლიანობა

პატიოსნება ნიშნავს წესიერებას საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების მიმართ: მიიღო გადაწყვეტილება ობიექტური მოცემულობების გათვალისწინებით და არა მხოლოდ კეთილგანწყობის მოპოვებისთვის; აღიარო შეცდომა და აიღო მასზე პასუხისმგებლობა; იმოქმედო წესების გათვალისწინებით; იგრძნო თავი სხვების თანასწორად. პატიოსნების გარეშე ერთმანეთის ნდობა და ზოგადად საზოგადოებაში ცხოვრება წარმოუდგენელი იქნებოდა.

რისი გაკეთება შეუძლია მშობელს?

- იყავით სხვა ადამიანების მიმართ პატიოსანი დამოკიდებულების ნიმუში;

- ისაუბრეთ ერთად რა არის და რა არ არის პატიოსნება. – მოუყევით მაგალითები იმისა, თუ რატომ მიიღეთ კონკრეტული გადაწყვეტილება; რატომ მიიჩნიეთ, რომ ეს უფრო იქნებოდა პატიოსანი საქციელი? მაგალითად, თანხა იპოვეთ ქუჩაში და იმის მაგივრად, თავად გამოეყენებინათ, პატრულში განაცხადეთ ამის შესახებ;
- ისაუბრეთ პატიოსნების გამოვლინებებზე. მაგალითად: თქვენს სახლში როგორ გამოიხატება პატიოსნება? რას ნიშნავს პატიოსნება საზოგადოებაში?
- მოუყევით, თქვენ როგორ ცდილობთ იყოთ პატიოსანი ყოველდღიურ ცხოვრებაში, სამსახურში.

კონკრეტული მაგალითი:
 – „მამა, რატომ არ შეიძლება მე ავირჩიო რას ვუყუროთ, უსამართლობაა, რომ გიორგი ირჩევს;
 – ვფიქრობ, ძალიანაც სამართლიანია. შენი არჩეული მულტფილში ხომ გუშინ ვნახეთ?! დღეს გიორგის ჯერია. ხომ არ მოგეწონებოდა, ყოველ დღე რომ გიორგი ირჩევდეს ფილმებს?“

კონკრეტული მაგალითი:
 – „დედა, რატომ უთხარი გამყიდველს, რომ ზედმეტი ხურდა დავიბრუნა? ეს ხომ მისი შეცდომა იყო და არა შენი? რატომ არ დაიტოვე ეს ფული?
 – იმიტომ, რომ ეს ფული მე არ მეკუთვნოდა და მისი დატოვება ძალიან ცუდი საქციელი იქნებოდა.“

თვითღირსიანობა

თვითღირსიანობა გულისხმობს საკუთარი შესაძლებლობების ცოდნას და დროის სწორად მართვას: როდესაც იცი, რა გაქვს გასაკეთებელი, რა გზით და რა დრო დაგჭირდება ამისთვის. შესაბამისად, ახერხებ რეალისტური მიზნების დასახვას და შემდგომ მათ მიღწევას. სწორედ აღნიშნული უნარის დახმარებით შეგიძლია დაპირებების შესრულება და სხვების განაწყენების თავიდან არიდება; მოთმინების შენარჩუნება. თვითღირსიანობის უნარის გავარჯიშება საშუალებას აძლევს ბავშვებს მართონ საკუთარი ქცევა და ემოცია, დაფიქრდნენ და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები.

რისი გაკეთება შეუძლია მშობელს?

- ისაუბრეთ თქვენს შვილს მიღწევადი მიზნების დასახვაზე. დაეხმარეთ მას დიდი დავალებების პატარა ამოცანებად დაშლაში და თითოეული მათგანის შესრულებისთვის განსაზღვრული დროის გამოყოფაში; შემდგომ ერთად გადაამონმეთ რამდენად დროულად მოასწრო დასახული მიზნის მიღწევა.
- დაეხმარეთ თქვენს შვილს გაუჩნდეს თავდაჯერების შეგრძნება, რაც შესაძლებელია მხოლოდ წარმატების მიღწევის შემთხვევების არსებობით. ამიტომაც გაამარტივეთ დავალება, რომ ადვილად შესრულოს და ჰქონდეს წარმატებულობის განცდა.

კონკრეტული მაგალითი:
 – ვინ რეკავდა?
 – ჩემი მეგობარი ნიკა, სურდა გავყოლოდი მალაზიაში ნიგნის ასარჩევად.
 – და რა უთხარი?
 – ვუთხარი, რომ არ მეცალა, დღეს უნდა მოვასწრო ბიოლოგიის პროექტის დასრულება.
 – ყოჩაღ! რომ სწორად ახერხებ შენი დროის განაწილებას, სხვა შემთხვევაში ვერ მოასწრებდი.“

მსჯელობა

ბავშვებს სჭირდებათ უნარი, შეხედონ მოვლენებს კრიტიკულად, გააანალიზონ, იფიქრონ, გამოარჩიონ ცუდი და კარგი გზა და შემდგომ მიიღონ გადაწყვეტილება. ეს ადვილი არ არის მოზრდილებისთვისაც კი, მით უმეტეს ბავშვებისთვის. ძალიან ხშირად ადამიანები შეცდომებს უშვებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ნაკლებს ფიქრობენ. თუ დაეხმარებით ბავშვს იყოს სამართლიანი, პასუხისმგებელი, დაიჯეროს საკუთარი შესაძლებლობების და იფიქროს გადაწყვეტილების მიღების წინ, ის შეძლებს რთული სიტუაციებიდანაც კი სწორი გამოსავლის პოვნას.

რისი გაკეთება შეუძლია მშობელს?

- ასწავლეთ თქვენს შვილს გაჩერდეს და დაფიქრდეს მანამ, სანამ რამეს იტყვის და გააკეთებს;
- დაეხმარეთ ბავშვებს იფიქრონ თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე. წარმოიდგინეთ სხვადასხვა სიტუაციები, რის წინაშეც შეიძლება დადგნენ და ისაუბრეთ მათ შესაძლო გადაწყვეტილებებსა და შედეგებზე.
- თუ ბავშვი არღვევს რაიმე წესს, ჰკითხეთ, რატომ მოიქცა ასე? რატომ იყო მნიშვნელოვანი ამ წესის დაცვა? დაეხმარეთ, გააცნობიეროს ამ კონკრეტული წესის დარღვევის საზიანო ან არასასურველი შედეგები;
- არ მიაწოდოთ პრობლემის გადაწყვეტის მზა ნიმუში. ნებისმიერი საკითხი გახადეთ მსჯელობის თემა, ისაუბრეთ მასზე, გაუზიარეთ მოსაზრება თქვენს შვილს და მისგანაც მოისმინეთ.

კონკრეტული მაგალითი:
 – ძალიან გავბრაზდი, ლიკამ კითხვაზე რომ არ მიპასუხა.
 – რას აკეთებდით ამ დროს?
 – ეკლესიაში ვიდექით.
 – კარგი, რა წესი არსებობს ეკლესიაში დგომისას?
 – რომ არ ველაპარაკოთ ერთმანეთს.
 – ე.ი. ლიკა სწორად მოიქცა, შენ რას ფიქრობ?
 – ჰო, მაგაზე არ მოფიქრია.“

სხვა ადამიანების პატივისცემა

სხვების პატივისცემა ნიშნავს იმას, რომ მოვექცეთ სხვა ადამიანებს ისე, როგორც გვინდა, რომ გვექცეოდნენ ჩვენ. ასეთი დამოკიდებულება ბევრ სიტუაციაში ვლინდება: მაგალითად, ჩვენ ვურთიერთობთ ისე, რომ არ ვეუბნებით ერთმანეთს შეურაცხყოფელ სიტყვებს, ვითვალისწინებთ ერთმანეთის უფლებებს, შეხედულებებს, ინდივიდუალობას. მრავალი კვლევის შედეგი ცხადყოფს, რომ ბავშვები სწავლობენ სხვებისადმი პატივისცემას, როდესაც თავად გრძნობენ იმავეს მათგან.

რისი გაკეთება შეუძლია მშობელს?

- ისაუბრეთ ბავშვს სხვებთან კომუნიკაციის სწორ გზებზე. უთხარით მას, როგორ ესაუბროს სხვა ადამიანებს;
- დაეხმარეთ ბავშვს პრობლემის გადაჭრაში ძალადობრივი გზის გამოყენების გარეშე.
- თუ ბავშვს კონფლიქტი აქვს ვინმესთან, დაეხმარეთ მას: 1. კონფლიქტის მიზეზის გაგებაში. მაგალითად: თუ მას არ მოსწონს, რომ უმცროსი ძმა კარებზე დაკაკუნების გარეშე შედის მის ოთახში, ასწავლეთ, როგორ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სწორი სიტყვებით და არა ფიზიკური აგრესიით. 2. დაეხმარეთ, მოიფიქროს პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა. მაგალითად, უთხარას ძმას: „ხანდახან მუსიკას ხმამაღლა ვუსმენ და შეიძლება ვერ გავიგო დაკაკუნების ხმა. ამიტომ 5-ჯერ ძლიერად დააკაკუნებ და თუ არ გიპასუხებ შეგიძლია შემოხვიდე“. 3. შეამონმეთ რამდენად მუშაობს ეს გზა;
- ასწავლეთ ოჯახური ღირებულებები პატივისცემასთან დაკავშირებით. მაგალითად, როგორ ესაუბროს, გამოხატოს პატივისცემა უფროსი ახლობლის ან უცნობი ადამიანის მიმართ სახლსა თუ საზოგადოებაში; თავადაც მოექცეთ მას პატივისცემით.

კონკრეტული მაგალითი:
 – ნინი, ეს ჩემი ახალი სიტიკრია?
 – დიახ, დედა. რა ხდება? არ უხდება ამ ქვედაბოლოს?
 – დედი, ჩემგან ნებართვა არ აგილია, ეს ხომ შენი ნივთი არ არის?
 – არ მეგონა, თუ ეს აუცილებელი იყო.
 – ნინი, საქმე იმაშია, რომ ეს შენი ნივთი არ არის. როდესაც სხვისი ნივთის ალება გვინდა, ვერ უნდა ვიკითხოთ. შემდეგში, ვერ მკითხე, ეს პატივისცემის გამოხატულება იქნება! არ მეთანხმები?!”

თვითპატივისცემა

ადამიანები, რომლებიც პატივს სცემენ საკუთარ თავს, ფიქრობენ რომ არასამართლიანი ქცევა, დაუფიქრებლობა, სხვებისადმი უპატივცემულობა ცუდია და მათ არ შეეფერებათ. ისინი არ ვარდებიან სასოწარკვეთაში შეცდომების დაშვებისას, სჯერათ საკუთარი თავის და ფიქრობენ, რომ მარცხი სასჯელი არ არის. ბავშვებისთვის საკუთარი თავის პატივისცემის სწავლება არ ნიშნავს მათ მუდმივ შექცებას, ნებისმიერი მათი ქმედების მონონებას. პირიქით, მათ უნდა შეძლონ თვითკრიტიკა, რათა მოახერხონ განვითარება.

რისი გაკეთება შეუძლია მშობელს?

- დაეხმარეთ ბავშვს ჩამოიყალიბოს საკუთარი თავის მიმართ დადებითი დამოკიდებულება, რომელიც გააერთიანებს მის ნიჭს და აგრეთვე სუსტ მხარეებსაც.
- ხაზი გაუსვით, რომ მის პიროვნებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის ქცევები, რომელსაც გამოავლენს ყოველდღიურად;
- დაეხმარეთ თქვენს შვილს, სრულად გამოავლინოს და განივითაროს ძლიერი მხარეები; არ მოახვიოთ თავს საკუთარი ინტერესები;
- დაეხმარეთ მას სწორი ღირებულებების არჩევაში.

კონკრეტული მაგალითი:
 – ნიკა, რატომ ხარ ასეთი მოწყვნილი?
 – თამაში ნაყავით.
 – კარგად ითამაშეთ? მთლიანად დაიხარჯეთ?
 – კი, ჩვენი მაქსიმუმი გავაკეთეთ.
 – საერთოდ არ არის წაგება სირცხვილი, განსაკუთრებით მამის, თუ მცდელობა არ დააკელით და ყველაფერი გააკეთეთ გამარჯვებისთვის. უბრალოდ, სხვა გუნდმა უკეთესად ითამაშა.“

გამბედაობა

გამბედაობა ნიშნავს შიშის დაძლევას და ისე მოქმედებას, როგორც სწორად მიგაჩნია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ძალიან რთულია და სარისკო. სწორედ აღნიშნული უნარი გვაძლევს საშუალებას ავიღოთ პასუხისმგებლობა და გავუმკლავდეთ მას სწორი გზებით.

რისი გაკეთება შეუძლია მშობელს?

- დაუდევით მხარში და იამაყეთ ყველა იმ სიტუაციით, როცა სიმამაცე გამოავლინა;
- ასწავლეთ თქვენს შვილს თქვას „არა“. ზოგჯერ ბავშვებმა არ იციან, როგორ უთხრან უარი თანატოლებს, რომლებიც სახიფათო და მისთვის ნაკლებად სასურველ ქცევას სთავაზობენ. მაგალითად: თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლის მიღება. მან უნდა შეძლოს ამ სიტუაციის გაანალიზება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1. ეს ქცევა არღვევს წესს ან კანონს? 2. რა ზიანის მოტანა შეუძლია და რომელია პრობლემის გადაჭრის სწორი გზა? 3. იმოქმედოს სწრაფად; თქვას: „არა“; დატოვოს

მშობლებთან კრება

სიტუაცია; შესთავაზოს თანატოლებს რაიმე უკეთესი და ა.შ;

- თუ ამოიცნობთ იმ სიტუაციებს, როდესაც ბავშვმა სიმამაცე გამოიჩინა და ნაახალისებთ, ის მომავალშიც აუცილებლად შეძლებს კრიტიკულად მნიშვნელოვან პერიოდებში სწორად მოქმედებას.

კონკრეტული მაგალითი:
- დედა, ჩემი თანაკლასელები ენოდენ თამბაქოს გაკვეთილების შემდეგ და მეც შემომთავაზეს.

პასუხისმგებლობა
აღნიშნული უნარი აუცილებელია საკუთარ ქმედებაზე და მის შედეგებზე პასუხისმგებლობის ასაღებად.

საფუძველზე ენდობიან და სცემენ ადამიანები ერთმანეთს პატივს. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათ უნდა აიღონ თავისი წილი პასუხისმგებლობა, თუ სურთ იყვნენ ოჯახისა და საზოგადოების ღირსეული წევრები.

რისი გაკეთება შეუძლია მშობლებს?

- მას შემდეგ, რაც რაიმეზე შეთანხმდებით, შეამოწმეთ, იცავს თუ არა ბავშვი შეთანხმების პირობებს;
• როდესაც პრობლემური სიტუაცია იქმნება, დაეხმარეთ თქვენს შვილს, აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა და იფიქროს, რა შეიძლება გააკეთოთ მომავალში სირთულის თავიდან ასაცილებლად;

კონკრეტული მაგალითი:
- მამა, მათესთან გადავივიარე.
- ძალი გაასეირნე?
- არა, როცა დავბრუნდები, შემდგომ გავასეირნებ.

სპორტი

პრობლემები და რეკომენდაციები

7 თებერვალს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის საკონსულტაციო-სარეკომენდაციო საბჭოს მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც იმსჯელეს სკოლებში ფიზიკური აღზრდის სწავლების გაუმჯობესებაზე, ხელის შემშლელ ფაქტორებზე და მათ გამოსწორებლად მიიღეს გარკვეული რეკომენდაციები.

ამ საკითხში საბჭოსა და შესაბამის სამსახურებს შორის მთავარი პრობლემა სპორტის გაკვეთილების, მინიმუმ, 4-საათიანი სწავლებაა. საბჭო მიიჩნევს, რომ დღეს სკოლებს ამის საშუალება არ აქვთ და აჯობებს, კანონში რეალური ვითარება აისახოს. სხვა საკითხია, თუ რატომ არ აქვთ სკოლებს ამის საშუალება, როცა კვირაში 4 საათი არც ისე ბევრია. სამაგიეროდ, ხელის შემშლელი მიზეზები და გადაუჭრელი პრობლემებია ძალიან ბევრი. პრობლემად ისევე იწვევს რასტრუქტურა და კადრები რჩება. სამსახურად და სავალალოდ, სკოლების უმეტესობას არ გააჩნია სათანადო სპორტული ბაზა, არა აქვთ დარბაზები, მოედნები ან თუ აქვთ - მეტისმეტად პატარა და საგაკვეთილო პროცესისთვის შეუფერებელი. თან ეს პრობლემა ერთნაირად მწვავედ დგას რეგიონებშიც და თბილისშიც. თავის დროზე სამინისტრომ ეს ვითარება შეისწავლა და ასეთი სურათი მიიღო: ქვეყანაში აღრიცხული 2100 სკოლიდან მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს

მეტ-ნაკლებად გამართული ინფრასტრუქტურა, დამაკმაყოფილებელი ბაზა, უმეტესობას კი ის არ გააჩნია. მაგალითად, 600-მდე სკოლას ისეთი ფართი, აქვს რომელიც 30-150 კვადრატული მეტრის ფარგლებში მერყეობს, ეს კი ერთი ბინის, ერთი ოთახის შესაფერისი ფართია, ხოლო სპორტის გაკვეთილებისთვის, ფაქტობრივად, გამოუსადეგარი. კიდევ უფრო ცოტაა იმ სკოლების რაოდენობა, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ სტანდარტს. თურმე ბევრი სკოლა სპორტის გაკვეთილებისთვის იყენებს დერეფანს, სააქტო დარბაზს და საკლასო ოთახსაც კი!

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა კვალიფიციური კადრები. სპორტის სამინისტრო ყოველთვის ნუხდა ამაზე, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ამ სფეროში მომუშავე 10 000 მასწავლებლიდან სათანადო განათლება მხოლოდ 3 000-ს აქვს, დანარჩენები სხვა საგნების სპეციალისტები არიან, რომლებიც ითავსებენ ამ საგანს. ცალკე პრობლემა კანონი, რომელიც კი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების მქონე პირთა სპორტის მასწავლებლად მუშაობას, მაგრამ ამასაც დახვეწა სჭირდება, რადგან საქართველოში დიპლომი ლამის ყველას აქვს.

საკონსულტაციო-სარეკომენდაციო საბჭოს ერთ-ერთი წინადადებაა, კანონით 4-საათიანი სწავლების დავალდებულებას აჯობებს, მოხდეს ერთგვარი დიფერენცირება, ანუ სადაც საშუალებაა, იქ გადავიდნენ 4-საათიან სწავლებაზე, დანარჩენები კი დარჩნენ 2-იანზე, ვიდრე მოანსრიგებენ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ბუნებრივია, ამისთვის დროა საჭირო, რადგან ბაზის აშენება არა იოლი საქმე, თუმცა არის ბევრი წერილობრივი საკითხი, რომელიც, სათანადო მონდომების შემთხვევაში, შესაძლებელია მოგვარდეს. მაგალითად, სპორტის გაკვეთილზე მასწავლებლისა და მოსწავლის სპორტული ფორმებით გამოცხადება. თუ ვახსოვთ, ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც ვწერდით, რომ სპორტის სამინისტრომ, სპორტის გაკვეთილების უკეთ ჩასატარებლად, გარკვეული რეკომენდაციები დაუბოძა რესურსცენტრებს, სადაც ერთ-ერთი მითითება ესეც იყო - გაკვეთილზე სპორტული ფორმებით გამოცხადება.

ხომ თითქოსდა მარტივია, მაგრამ ამის უკან მეორე, კიდევ უფრო დიდი ხელშემშლელი ფაქტორია - გასახდლების არქონა. ახლად აშენებულ სკოლებს, ძველებისგან განსხვავებით, ეს პრობლემა თითქმის არ აქვთ; ზოგან სათანადო ფართი არის, მაგრამ გაურემონტებელი, კეთილმოწყობილი, რის გამოც თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. სწორედ ამიტომ, მომავალი სასწავლო წლისთვის, სამინისტროს (რაკი სკოლებში რემონტი ძირითადად ზაფხულში, არდადეგების პერიოდში ტარდება) ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია

- ცოტენ, ძალის გასეირნება შენი პასუხისმგებლობაა. ჩვენს ოჯახში უმნიშვნელოვანესია ჩვენი წილი პასუხისმგებლობის შესრულება. ამიტომ, იქნებ ჯერ ძალი გაასეირნო და შემდეგ ნახვიდე მათესთან?"

სწორედ თანაცნობის, პატიოსნების, თვითდისციპლინის, განსჯის, სხვებისადმი პატივისცემის, თვითპატივისცემის, გამბედაობის და პასუხისმგებლობის უნარები ქმნის იმ ფუნდამენტს, რაც პიროვნებას აყალიბებს პროფესიულ საქმიანობასა და ურთიერთობებში წარმატებულ ადამიანად. სწორედ აღნიშნული უნარების მქონე ადამიანებს შეუძლიათ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და დადებითი ცვლილებების მოტანა.

მეორე მხრივ, აღნიშნული უნარების დეფიციტი ქმნის კონფლიქტურ, შურისძიებაზე ორიენტირებულ, ნაკლებად ბედნიერ საზოგადოებას, რომელიც ვერ სწავლობს საკუთარ შეცდომებზე და შესაბამისად, ვერც ვითარდება. ამიტომაც, მშობლისა და სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აღნიშნული უნარების განვითარების ხელშეწყობა.

ირინე ღოლაძე
კლინიკური ნეიროფსიქოლოგი,
"თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი"



სპორტული დარბაზების მოწოდება. ისე კი, როცა ქვეყანაში სპორტის გაკვეთილზე სპორტული ფორმით გამოცხადების პრობლემა დგას, რა 4-საათიან სწავლებაზე და რა მაღალ მატერიალურ საუბარში აქვე იმასაც გეტყვით, რომ საკონსულტაციო-სარეკომენდაციო საბჭომ, ზემოაღნიშნულ სხდომაზე, კანონზე მომუშავე ჯგუფს, სხვა რეკომენდაციებიც მისცა საკანონმდებლო ბაზის დახვეწასთან დაკავშირებით.

პარალელურად სამინისტრო აგრძელებს გასვლას რეგიონებში და ვითარების ადგილზე გაცნობას, რასაც, პრაქტიკულ შემთხვევაზე მეტად, თეორიულ-სალექციო ხასიათიც აქვს (რას ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნები და მეთოდოლოგია; სამინისტროს მიერ გადაგებული ნაბიჯები და მათი რეკომენდაციები). ბუნებრივია, ეცნობიან ადგილებზე არსებულ პრობლემებსაც და აძლევენ რჩევებს. თებერვალში ამგვარი შეხვედრები უკვე გაიმართა ზესტაფონისამატრედიაში და ფოთი-სენაკში, უახლოეს მომავალში იგეგმება ჩოხატაურ-ოზურგეთსა და აბაშა-მარტვილში. არჩევენ კადრებსაც, რომლებიც გადამზადდებიან კურსს გაივლიან, რათა შემდეგ, მათ ადგილზე გადამზადდონ სხვები. სამინისტრომ ამგვარი სასემინარო კურსი ერთი წლის წინ დაიწყო და უკვე გადამზადდა 60 ინსტრუქტორი, რომლებსაც გადაეცათ სათანადო სერტიფიკატები. ისინი ახლა თავიანთ რესურსცენტრებში მუშაობენ, 15-17 მარტს, თბილისში, მათთვის სემინარი გაიმართება, რომელსაც ესპანელი ექსპერტიც დაესწრება.



კლუბები სეოკმას დაჯილდოვა

ორშაბათს, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, „სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების გაძლიერების“ პროექტში გამარჯვებული თბილისის სასკოლო კლუბები დააჯილდოვეს.

შეგახსენებთ, რომ ამ პროექტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად. გამარჯვებული კლუბები ორი კრიტერიუმით - საგაკვეთილო (სპორტის გაკვეთილები) და არასაგაკვეთილო (ლაშქრობები, ვიქტორინები და სხვა) აქტივობებით გამოვლინდნენ, რაშიც მათ ეწეებოდათ ქულები და სწორედ მიღებული ჯამით დასახელდა სამი გამარჯვებული სასკოლო კლუბი. ესენია: №131 სკოლის კლუბი „არწივი“ (კლუბის ხელმძღვანელი - ლია მესტიურიშვილი), №129-ის - „ირაო“ (ეკა ჭადაშვილი) და №120-ის - „ბაირალი“ (მეგლუდ ლაშაური). ეს კლუბები და აგრეთვე სხვა ნომინაციებში გამარჯვებულები, 26 დეკემბერს, განათლების, მეცნიერების, კულტურის-

სა და სპორტის სამინისტრომაც დააჯილდოვა (ამის შესახებ დანერვილებით ვწერდით), ახლა კი ისინი სეოკმაც მიიღო, რაკი ამ პროექტში აქტიურდა ჩართული თბილისის ეოკ-ის რეგიონული ორგანიზაცია. დაჯილდოებას ესწრებოდნენ სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი საბელიოვი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, თბილისის ეოკ-ის პრეზიდენტი მურთაზ მნათობიშვილი, სპორტის სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტი გია ბეგიაშვილი. საბელიოვმა გამარჯვებულ კლუბებს სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

იმედია, გამარჯვებულებისადმი ასეთი ყურადღება სხვა სკოლებსაც გაუზრდის ინტერესს, რაც სპორტის გაკვეთილების ჩატარების ხარისხს რამდენადმე აამაღლებს, ეს კი პირდაპირ კავშირშია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასთან და მოზარდების სპორტით დაინტერესებასთან.

მინსკიდან უჩეხიოვოდ

მინსკში, ამ უქმეებზე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ალექსანდრ მედედის სახელობის საერთაშორისო ტურნირი „დათუნია“ ჩატარდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებიც მონაწილე-



ობდა, გამოსვლა ჩვენებმა ხუთი მედლით დაასრულეს: 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ტურნირის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ: ანზორ გოლუბიანი (71), გიორგი ჩხრაძე (92) და ნიკოლოზ ბარაბაძე (110); მესამე ადგილზე კი დავით კუჭუაშვილი (71) და დავით კოლუაშვილი (80) გავიდნენ.

რუბრიკას უძღვება ირაპკლი თაყაიძე

